პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

☐ სამშაბათი 27 ივნისი 1978 წ. ☐ № 150 (17194) ☐ ფასი 2 კაპ.

1920 ▣ გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ▣ 1978

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის გახსნის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია გაიხსნება 1978 წლის 28 ივნისს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს 27 ივნისს 9 საათიდან 21 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ოთახები № 6, № 11. ტელეფონები: 99-08-54, 93-78-01, 99-67-16, 99-56-18, 93-79-50, 93-75-06.

28 ივნისს რეგისტრაცია იწარმოებს დილის 8 საათიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 1978 წლის 28 ივნისს დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

თავდადებული შრომით ვუპასუხებთ!

ამბობენ საქართველოს მშრომელები ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ მინსკში წარმოთქმული სიტყვის გამო

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ მინსკში გმირი ქალაქისათვის ლენინის ორდენისა და „ოქროს ვარსკვლავის" მედლის გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე წარმოთქმული სიტყვა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ყურადღების ცენტრშია.

მხურვალედ გამოეხმაურნენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ამ ღრმაშინაარსიან სიტყვას საქართველოს მშრომელებიც. ქალაქად და სოფლად გულისყურით ეცნობიან მას და ერთსულოვნად იწონებენ ჩვენი პარტიის, მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკას, მადლობას უძღვნიან ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს იმ დაუღლელი მოღვაწეობისათვის, რომელსაც იგი ჩვენი ქვეყნის შემდგომი აყვავებისა და ძლიერებისათვის, ხალხთა მეგობრობისა და კეთილდღეობისათვის ეწევა.

ამასთან ერთად მშრომელები პირობას დებენ, რომ ახალი ენთუზიაზმით გააჩაღებენ შეჯიბრებას იმ ამოცანების უთუოდ შესასრულებლად, რომლებსაც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო.

საქართველოს მშრომელთა წერილებში, რომლებიც რედაქციაში მოდის, გამოთქმულია ხუთვილი, რომ შეჯიბრება გაჩაღდეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წამოყენებული დევიზით: „ვისწავლოთ ეფექტიანი ბრძოლა ეფექტიანობის აამაღლებისათვის".

დღეს ვბეჭდავთ ზოგიერთ გამოხმაურებას.

იმედიანი მომავალი

მინსკელები დიდი ზეიმი ტელევიზიით ვნახე. გულწრფელად მიხარია ბელორუსი ხალხის ომისდროინდელი გმირული თავგანწირვის აღიარება. ამბ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა, რომელიც ჩვენი ხალხის შემდგომი წინსვლისათვის სახელმძღვანელო დებულებებს შეიცავს, დიდი ინტერესით მოვისმინე. ეროვნულ-ეკონომიური ამოცანაა წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. ეს მთლიანად გვეხება ჩვენც, სამრეწველო საწარმოთა მუშებს. ლ. ი. ბრეჟნევი მიგვითითებს, რომ: **ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მომჯერნეობის ფეხის აღმოფხვრას, ბალანსირებას. სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას ყველა რგოლში და, უწინარეს ყოვლისა, ხაგეგმო დისციპლინის განუხრელ დაცვას.**

ამ თვალსაზრისით დიდი მუშაობა წარმოებს ჩვენს ქარხანაში. წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის ნაგარაუდევია წლის ბოლოსათვის მწყობრში ჩადგეს აგლომერაციის დაბრიკის კომპლექსი, რომლის საბარაჟთაღრიცხვო ღირებულება 11 მილიონ მანეთს აღემატება. ამ ახალი სიმძლავრის მწყობრში ჩადგომით საბოლოოდ გადაწყდება წვრილფრაქციული მანგანუმის მადნის ფაბრიკატებისა და დახურული რეჟიმით მუშაობაზე ელექტროლუმენების გადაყვანის საქმე. გარდა ამისა, ჩვენ ქარხანაში გათვალისწინებულია სხვა სიახლეთა განხორციელებაც. შენდება ორი ზემძლავრი, 75 მეგავატიანი საღნობი ღუმელი, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოო სიმძლავრის მნიშვნელოვნად გაზრდას.

მაგრამ შემოქმედებითი შრომა მხოლოდ მშვიდობიან დროს შეიძლება. ეს რატომ აფასებს ასე გულწრფელად საბჭოთა ხალხი ჩვენი მთავრობის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას. ეს პოლიტიკა იმედიან მომავალს გვისახავს და თავდადებული შრომისათვის აღგვაფრთოვანებს.

ტ. გეგეშიძე,
ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელთა ბრიგადირი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი.

მშვიდობისათვის!

გულდასმით გავეცანით ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შინაარსს გმირი ქალაქის მინსკისათვის ლენინის ორდენისა და „ოქროს ვარსკვლავის" მედლის გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე.

ლ. ი. ბრეჟნევი, როცა ბელორუსიის სსრ სახალხო მეურნეობის აღმავლობაზე, ლაპარაკობს, ხაზს უსვამს, რომ საჭიროა ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის წინსვლის მძლავრი ბერეტრვის სრულად ამოქმედება, შრომითი რესურსებისა და რეზერვების მთლიანად გამოყენება.

მისი შთამბეჭდავი სიტყვიდან შევიტყვეთ, რომ თუ წინათ ბელორუსიაში ჰექტარზე 7-8 ცენტნერი მარცვლეულის მოსავალი ზღვრულად ითვლებოდა, შემდეგ 21 ცენტნერს ვადაამტა, გასულ ორ წელიწადში კი 25 ცენტნერს მიაღწია.

ამასთან ლ. ი. ბრეჟნევი სოფლის მეურნეობის მუშაკებს გვაფრთხილებს, რომ რასაც დღეს მივაღწიეთ, არც ეს არის საკმარისი, საჭიროა სოფლის მეურნეობის დაგეგმვის მაღალ დონეზე დაყენება, საგეგმო ფისციპლინის დაცვა, **საჭიროა არა მარტო სოფლის მშრომელებმა, არამედ ყველამ, ვინც სოფლის ტრაქტორებს, კომბაინებს, სხვა მანქანებს, მინერალურ სასუქებს აწვდის, ვინც სამელიორაციო სამუშაოებს ასრულებს. ამრავლოს მეცადინეობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის ბრძოლაში.** ეს მითითება სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს, თითოეულ მშრომელს, იმათ, ვინც სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საკითხებზე მუშაობს, ახალი ამოცანების წინაშე აყენებს.

ჩვენი ფაბრიკის მთელი კოლექტივი პირობას დებს, რომ ენერგიას არ დაზოგავთ, რათა მეათე ხუთწლედის მესამე წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებანი გადამეტებით შეასრულოთ.

სოფლის მშრომელთა დიდი მადლობა ლენინურ ბრეჟნევს, საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შრომასა და ცხოვრებაზე მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვაზე ასეთი თანამიმდევრული, აუღლმდგარი ზრუნვისათვის.

მერი ჟღენტი,
გარდაბნის რაიონის ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ყველა, როგორც ერთი

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მინსკში გმირი ქალაქისათვის ლენინის ორდენისა და „ოქროს ვარსკვლავის" მედლის გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში ცალკე ხაზი გაუსვა, რომ დღეს მეტად მნიშვნელოვანია ეისწავლოთ ეფექტიანი ბრძოლა ეფექტიანობის ამაღლებისათვის, რაც შეიძლება დაიანგარიშოთ წარმოების ზრდის ტემპი, შრომის ნაყოფიერება და ამ მოთხოვნების შესასრულებლად უნდა ვარაუბავდეთ ყველა კოლექტივს, ყველა მშრომელს.

ეს სიტყვები უშუალოდ გვეხება ჩვენ, პრომპაგანდისტებსაც. ჩვენი საწარმო დღეს თითქოს გაახალგაზრდაია, ბევრი ახალი ობიექტი აშენდა, ამიტომ ნაყოფიერი შრომის პირობებიც ვაცილებით უკეთესი გვაქვს. ჩვენ ვცდილობთ ყველგან, ყველა უბანზე იდეოლოგიურად ეზრუნველყოფილი იყოს საწარმოო დავალებები, რომ თითოეულმა მშრომელმა იცოდეს თაიისი საქმიანობის დიდი საჭიროება ოა იმ წილილის ფასი, ეომელიც მას შეაქვს საერთო საქმეში.

ქარხნის პროპაგანდისტები გუშინვე კოლდასმით გავეცანით ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას. მასში ბევრი რამ არის საგულისხმო: პირველყოვლისა ის, რომ თუ იქ დასმულ ამოცანებს ჩვენი ქარხნის მონაცემებს შევუსაბამებთ, მოგვეცემა საშუალებას ვთქვათ, რომ საწარმოს ბევრ უბანზე არსებული გამოუყენებელი რეზერვები მოკლე ხანში ამოქმედდება და ჩადგება ჩვენს სამსახურში.

ბ. გიგოლაშვილი,
თბილისის ხტალინის სახელობის ელექტროგაგონშემკეთებელი ქარხნის მთავარი ტექნოლოგის მოადგილე, პროპაგანდისტი.

დამკვრელურ ნელს — დამკვრელური ჯემპი!

ხუთწლედის გმირი

მეფოლადე უშანგი ივანიშვილი

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე უშანგი ივანიშვილმა პირად ანგარიშში ჩაიწერა მემილიონე ტონა ფოლადი

„მილიონერ" მეფოლადეთა პოლკს კიდევ ერთი შეემატა! ოცდახუთი წელი მიდიოდა უ. ივანიშვილი ამ მიჯნისაკენ. ხვეწდა ოსტატობას, ითვისებდა ლითონის წარმოების ახალ ტექნიკასა და ტექნოლოგიას.

...მახ, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულს, ბედმა გაუღიმა: მას შეფობას უწევდა სოციალისტური შრომის გმირი ამირან ფანცულაია. ამ სახელმოხვეჭილი მეფოლადის ხელმძღვანელობით უშანგი გულდაჯერებით ადიოდა ოსტატობის საფეხურებზე. უკვე მრავალი წელია იგი მეთაურობს № 1 ღუმელის ერთსულოვან, შეკავშირებულ კოლექტივს. ეს სწორედ ის ღუმელია, რომელზეც მისმა მასწავლებელმა 1950 წლის აპრილში პირველი ქართული ფოლადი გამოადნო.

იგი არა მარტო სრულყოფილად, არამედ დაწვრილებით სწავლობდა პროცესის ტექნოლოგიას. მან ბევრი მნიშვნელოვანი წინადადება წამოაყენა მარტენის წარმოების სრულყოფის საკმეში. მან დაისახა მიზანი — მიაღწიოს ღუმელის ქვედის კვადრატულ მეტრზე ფოლადის უმაღლეს ანარომს.

და აი, ღუმელის ქვედის კვადრატულ მეტრზე მან აიღო ოთხ ტონაზე მეტი ლითონი. არის ხარჯნონ რეკორდი? ყოველთვიურად ეს დავალება დამატებით ახობით ტონა ფოლადს შეადგენს.

საამქროში კარგად იციან: ქედუხრელია იგი სიძნელეებთან ბრძოლაში, მაღალი ტემპერატურული რეჟიმებით მარსონსული დნობა მეტად პასუხსაგები საქმეა: ცხელ თუჯს შეუძლია დაწვას ღუმელის კამარა. ეს შიში მას აიძულებდა დროებით შეემცირებინა სითბო ღუმელში ფოლადის ჩასხმის დროს, სიფრთხილე დაცულია, მაგრამ პროცესი ნელდება. უ. ივანიშვილმა გაბედა და თუჯის ჩასხმის დროს ღუმელის გახურება გაადიდა! ღუმელი ნორმალურად მუშაობდა, დნობა განხორციელდა და ნადნობი ვადაზე გაცილებით ადრე მიიღო. მეფოლადის ექსპერიმენტს საფუძვლად ედო საღი გაანგარიშება, მდიდარი გამოცდილება, საქმის შეხანიშნავი ცოდნა.

ახლა უშანგი ივანიშვილის ნადნობის თითქმის 80 პროცენტი ჩქაროსნულია. მეხი მეთოდით დღეს რუსთავში ბევრი მუშაობს.

...№ 1 ღუმელი მოწინავეა საწარმოსა და დარგში. მეფოლადე ივანიშვილმა ამ ღუმელით გახსნა მეორიმილიონე ტონა ლითონის ანგარიში.

რ. დავიდოვი,
(საქონფორმის კორ.).

სურათზე: მეფოლადე უ. ივანიშვილი.

ბ. კიკმაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

იმკიან ნაყოფს

სიღნაღი. (საკ. კორ.). სტავროპოლის მხარის იპატოვკა რაიონის მიწათმოქმედთა მეთოდების დასანერგად მოუწოდეს სიღნაღის რაიონის მშრომელებმა საქართველოს მემინდვრეებსა და მექანიზატორებს. ინიციატორები შეუდგნენ პირობის შესრულებას. ახლა რაიონში ყველაზე გახურებული და დაძაბული მუშაობის დროა. მხვნელ-მთესველები იმკიან თავიანთი შრომის ნაყოფს, იღებენ თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალს. რაიონში უკვე მომკილია 1.490 ჰექტარზე მეტი.

რაიონში პირველი შეუდგნენ ქერის მკას ბოდბისხევის კოლმეურნეობის მექანიზატორები, რომლებმაც 404 ჰექტარზე აიღეს მოსავალი და საშუალოდ ჰექტარზე 25 ცენტნერი მარცვალი გალეწეს. დაუნიაურდნენ კომბაინერები თ. ლეკაშვილი, ვ. ცაბუტაშვილი, ზ. პავლიაშვილი. თითოეული მათგანი მოსავლის აღების ყოველდღიურ ნორმას ორმაგად ასრულებს.

ბოდბისხეველებს წელს თავთავიანი მარცვლეულის მოსავალი ასაღები აქვთ 2950 ჰექტარზე. წინასწარი გარაუდით, საშუალოდ ჰექტარზე 28 ცენტნერის ნაცვლად 30 ცენტნერს ელიან.

ბოდბის ორკონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში 342 ჰექტარი ქერიდან მომილია 268 ჰექტარი და თითოეულ ჰექტარზე გალეწილია 24 ცენტნერი მარცვალი.

ქერის მკის ტემპს ყოველდღე აძლიერებენ ჯუგაანის, ვაქირის, ანაგის, მაჩხანის, ძველი ანაგისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში, წმორის მეცხოველეობის კომპლექსის მეურნეობაში.

420 ათასი ტონა ჩაისათვის

გუშინ ჩაის კლანტაციებში

მასარაძე. (საკ. კორ.). დღითი დღე ძლიერდება ფოთლის კრეფის ტემპი. ბევრმა-ვალდებულებით გათვალისწინებულია მოკრიფონ 75 000 ტონა ფოთოლი. სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 39.326 ტონა. მარტო ერთ დღეს — 429 ტონა ფოთოლი. შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით სულ რაიონში მოკრეფილია 4 492 ტონით მეტი ჩაის ნედლეული.

ქობულეთი. („კომუნისტის" კორ.). წელს ბევრმა-ვალდებულებით მოსაკრეფია 38 700 ტონა ჩაის ნედლეული. გუშინ მოიკრიფა 195 ტონა. სულ სეზონის დაწყებიდან — 18 553 ტონა. ეს შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით 120 ტონით მეტია.

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ბევრმა-ვალდებულებით გათვალისწინებული 56.353 ტონიდან სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 22 432 ტონა, გუშინ — 222 ტონა ფოთოლი. სულ რაიონში შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით 1 208 ტონით ნაკლებია. მოკრეფილი.

ხელვაჩაური. („კომუნისტის" კორ.). კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოკრიფეს 8 359 ტონა ფოთოლი, შარშანდელ მაჩვენებელს 515 ტონით ჯადაჯერჯერ. წელს სეზონში ბევრმა-ვალდებულებით უნდა მოკრიფონ 17.800 ტონა ფოთოლი.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მოსკოვში დაბრუნდა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი 25 ივნისს ხალამის მინსკიდან მოსკოვს გაეშგზავრა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად გაემგზავრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი დ. თ. უსტინოვი, ბერეთვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. მ. მაშეროვი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ე. პოლიკოვი, ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტ. ი. კისელიოვი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებმა და წევრობის კანდიდატებმა, პარტიის მინსკის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. ბარტოშევიჩი, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ხ. მ. ლუკაშევიჩი, პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრებმა და წევრობის კანდიდატებმა, ბელორუსიის ოლქების ხელმძღვანელებმა.

26 ივნისს მინსკიდან მოსკოვს დაბრუნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი. იგი მონაწილეობდა გმირი ქალაქისათვის ლენინის ორდენისა და „ოქროს ვარსკვლავის" მედლის გადაცემისადმი მიძღვნილ ზეიმში. ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი დ. თ. უსტინოვი.

ვაგზალზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. კულაკოვი, ა. ი. პელშე, მ. ა. სუსლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები პ. ნ. დემიჩევი, ე. ვ. კოზლოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, კ. უ. ჩერნენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ვ. ი. დოლგიხი, ი. პ. რიაბოვი, კ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები გ. ს. პავლოვი, ვ. ე. ცუკანოვი, ნ. ა. შჩოლოკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი ს. კ. ცვიგუნი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი ა. ი. ბლატოვი, საბჭოთა მინისტრები ი. ვ. პავლოვსკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის რეფერენტი ე. მ. სამოტეიკინი.

მოსკოვს დაბრუნდნენ ასევეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწენი ა. მ. ალექსანდროვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველის მოადგილე მ. ე. მოგილევიჩი, რომლებიც თან ახლდნენ ლ. ი. ბრეჟნევს მოგზაურობის დროს. (საკდესი).

ძმურ, მეგობრულ ვითარებაში

მინსკი, 25 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). გმირ ქალაქ მინსკისათვის ლენინის ორდენისა და „ოქროს ვარსკვლავის" მედლის გადაცემის გამო ბელორუსიის კომპარტიის საქალაქო კომიტეტმა და საქალაქო საბჭოს აღმასკომმა დარბაზობა გამართეს.

დარბაზობაზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ი. ბრეჟნევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი **დ. თ. უსტინოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. მ. მაშეროვი.

დარბაზობას დაესწრნენ ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, ქალაქ მინსკის ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, ვერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან საბჭოთა ბელორუსიისა და მისი დედაქალაქის განთავისუფლებისათვის ბრძოლების ვეტერანები.

შეკრებილთ მიესალმა ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტ. ი. კისელიოვი. ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით მან აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, რომ ბელორუსი ხალხი კიდევ უფრო მეტი ენერგიით, სიმტკიცითა და მიზანსწრაფულად იბრძოლებს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და იმ ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებიც ლენინი ილიჩმ დასახა მომდევნო სიტყვებსა და გამოსვლებში, გმირ ქალაქ მინსკისათვის ჯილდოების გადაცემისას წარმოთქმულ ორმაშინაარსიან, შესანიშნავ სიტყვაში.

დარბაზობაზე გამოვიდა ამხანაგი **დ. თ. უსტინოვი.** სახელოვანი შეიარაღებული ძალების სახელით და პირადად მან მხურვალედ და გულითადად მიულოცა მინსკელებს, ომის ვეტერანებს, მთელ ბელორუსს ხალხს გმირ ქალაქ მინსკისათვის მაღალი ჯილდოს — ლენინის ორდენისა და „ოქროს ვარსკვლავის" მედლის გადაცემა.

ბელორუსიის ისტორიას ბევრი შესანიშნავი შრომითი და საბრძოლო გმირობა ახსოვს, — თქვა დ. თ. უსტინოვმა. ჩვენ გვახარებს საბჭოთა სოციალისტური ბელორუსიის უთვალსაჩინოესი შრომითი წარმატებანი, მისი დედაქალაქის სახელოვანი მცხოვრებლების წარმატებანი. და ჩვენ, ბელორუსიას ვიცნობთ ისეთ რესპუბლიკად, რომლის ხალხმა დიდი სამამულო ომის წლებში უძნელეს განსაცდელს გაუძლო.

(გაგრძელება მე-2 გვ.).

შეხვედრა კრემლში

გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ 26 ივნისს კრემლში მიიღეს პერუს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ხ. დე ლა პუენტე.

საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, განხილეს საბჭოთა კავშირ-პერუს ურთიერთობის ახლანდელი მდგომარეობის საკითხები და შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ სსრ კავშირისა და პერუს ურთიერთობა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა ნაყოფიერი თანამშრომლობის მაგალითია. გამოითქვა რწმენა, რომ ამ ურთიერთობის წარმატებით გაფართოება და გაღრმავება შეესაბამება ორი ქვეყნის ხალხთა ინტერესებს, ხელს უწყობს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას.

ორივე მხარისათვის საინტერესო აქტუალური საერთაშორისო პრობლემების განხილვისას ხაზგასმით აღინიშნა, რომ ემთხვევა ან ახლოს დგას ერთმანეთთან ორი ქვეყნის პოზიციები თანამედროვეობის კარდინალურ საკითხებზე, კერძოდ, განიარაღების, საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების, დაძაბულობის შენელების პროგრესის დარგში.

საბჭოთა ხელმძღვანელობის სახელით ლ. ი. ბრეჟნევმა პერუს რესპუბლიკის პრეზიდენტს ფ. მორალეს ბერმუდესს შეუთვალა სალამი, უსურვა ჯანმრთელობა და წარმატება პერუს პოლიტიკური თავისთავადობისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცების საკეთილდღეოდ საქმიანობაში.

საუბარს დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. მ. ალექსანდროვი და პერუს ელჩი სსრ კავშირში ხ. ხოსე კალიე ი კალიე. (საკდესი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1978 წლის 24 ივნისს 67 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა ბრძოლისული მეცნიერი, მეცნიერების უთვალსაჩინოესი ორგანიზატორი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, სამეგზოს სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური და სახელმწიფო პრემიებისლაურეატი აკადემიკოსი

მსტისლავ ვსევოლოდის ძე კელდიში

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ჩემი და ჩვენი

კოლიტიკა. ეკონომიკა. მეცნიერება. კულტურა. მორალი.

„ჩავუნერგოთ ადამიანს მაღალი საზოგადოებრივი მიზნებისადმი მისწრაფება, იდეური რწმენა, ჭეშმარიტად შემოქმედებითი დამოკიდებულება შრომისადმი — აი ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა".

ლ. ი. ბრეჟნევი.

ერასოდეს არ დამავიწყდება როგორ შემხვდა ერთხელ ქუჩაში ჩემი ყოფილი თანამშრომელი. ეს გახლდათ მვალცავი მეტალურგი, რომლის მხარდამხარ მრავალი წელი ვიმუშავე... იგი ლუდს ყიდდა. ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, მე კი ეს შეხვედრა ვერ დამავიწყებია და სულ ვფიქრობ: რამ მოიყვანა აქ კაცის მუშა?

ნუ მიწყენენ ვაჭრობის მუშაკები, მაგრამ მათ შორის არიან ფულის ოინი შოვნის მოყვარულნი: ხან ჭიქას არ შეუსვებენ, ხან კაბიკს დაკლებენ — გახედავ და მანვთიც მოგროდება. იყო დრო, როცა ასეთი მანვთის გულისთვის ჩვენი ქარხნიდანაც მიიღიდნენ ცალკეული ადამიანები, რომლებსაც ოინი საშოვარი იზიდავდა.

თქმა არ უნდა, ხალხის კეთილდღეობის ზრდის კვალობაზე მისაწვდომი გახდა ძვირფასი ჭურჭელი, ავტომობილი, ხალიჩები, ლამაზი ავეჯი. და ზოგიერთ პატივმოყვარე კაცს მეზობლებისა და ნაცნობების ჯობნის წყურვილი დაეუფლა. ასეთი, გონებრივად ღატაკი ადამიანებისათვის ნივთების მიხედვით აფასებს, ისიც, რომ შეძენას ავმოდენებამ შეიძლება ზნეობრივად მერყევ კაცს იოლ შემოსავალზე, საზოგადოების მოტყუების გზაზე უბიძგოს (როგორც ხანდახან ხდება ხოლმე), რაც მერე ძვირად უჯდებათ. ისიც, რომ ასეთი კაცი ნივთების პაწია სამყაროს მონა ხდება, სადაც ყველაფერი „ჩემია".

ეს ადამიანები საკუთარ თოვლ ეურდავენ, რადგან მათ მხოლოდ ერთი, ძალზე საეჭვო სიხარული იციან — შეიძინონ, აიღონ. მათ არც კი გუნგიათ, რომ არსებობს ბევრად უფრო დიდი და წმინდა სიხარული — ხალხს, საზოგადოებას მოახმარო შენი შრომის ნაყოფი, შენი ცოდნა, შენი ოსტატობა. ტყუილად ხომ არ უთქვამს რუსთაველს:

რახაკი გასცემ შენია,
რაც არა, დაკარგულიაო.

არ იციან ასეთმა ადამიანებმა რომ არსებობს ნამდვილი ამხანაგობა, როცა არა ერთი, არა ორი და სამი კაცი, არამედ მთელი კოლექტივი ვიდგას მხარში ჭირსა ან ხარსში, როცა მხარში ვიდგას ქარხანა, ქალაქი, მთელი ქვეყანა. არ ესმით მათ, რომ ყველაფერი, რასაც ეკმნით ჩვენია, და ამიტომ არავითარი გასაჭირი არ გვაშინებს.

ვიამბოთ იმ სასიხარულო ცვლილებებზე, რომლებიც უკანასკნელი წლების მანძილზე მოხდა ჩვენს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. იქნებ ამაზე მსჯელობამ მოგვაძებნინოს იმის ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ ხდებიან ჩვენს შორის ზოგჯერ ასეთი, ჩემი აზრით, ბედით დაჩაგრული ადამიანები.

დღეს ქარხნის კოლექტივი მეკოცედ დგას მოწინავე პოზიციებზე. მან ზედიზედ თექვსმეტჯერ გაიმარჯვა ჩვენი დარგის საწარმოთა სოციალისტურ შეჯიბრებაში. სამჯერ დაიმსახურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

1977 წელს რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ 38.100 ათასი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია გაასალა, ვიდრე 1972 წელს. შრომის ნაყოფიერება 1972-დან 1977 წლამდე 37,9 პროცენტით გაიზარდა.

და როცა ჩვენ, კადრის მუშები, საღღესასწაულო სუფრას მიეუსხდებით და ვადღეგრძელებთ ხოლმე ჩვენს მეორე ოჯახს, ესე იგი ჩვენს ქარხანას, ფრონტსიდაც ადგენ უფრო მოახდენს, მეტალურგთა კვებაზე. თანაც მუშათა სასადილოებში კერძები 35 პროცენტით გაიაფდა. იმ საამქროებში კი, სადაც მუშაობის ყველაზე ძნელი პირობებია, — საბრძოლე, კოქსქიმიურ საამქროებში და აგლომფაბრიკაში — სადილები საერთოდ უფასოა, ამისთვის ქარხანა წელიწადში 360 ათას მანეთს ხარჯავს.

ადამიანებისთვის ზრუნვა ქარხნის ტერიტორიით არ შემოიფარგლება. თვალწარმტაცი ადგილია, იაღლუჯის მთაზე სანატორიუმ-პროფილაქტორიუმი ავაშენეთ, ფართოდ ვფიქრობ და ხელახლა აღიჭურვება ქარხნის საავადმყოფო, მალე მწყობრში ჩადგება საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი.

და აი, ახლა, როცა სამუშაოთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე დამთავრებულია, რწმენდები, კიდევ რამდენი სასარგებლო რამ შეიძლება გაკეთდეს ადამიანებისათვის. თვითონ მუშებიც, ინჟინრებიც, ქარხნის მხატვრებიც, რომლებიც გალიტავა საერთო საქმეს და სიხარულს, ცდილობენ გამოიგონონ რაღაც ახალი, გამოიჩინონ ინიციატივა.

ამას წინათ საგლინავი და მარტენის საამქროების გვერდით ნაგებ ახალ ბაზაზე. აქ ყველაფერი ლაზთათანად არის მოწყობილი, სასიამოვნოა შესვენების დროს საუბრობა. კოქსქიმიური საამქროს გვერდით კი, როგორ გგონიან, რა მოაწყვეს? — წყალსამკურნალო. ეს საამქრო სამკურნალო გოგირდის წყალს აწვდის ქალაქს: მაშ რატომ უნდა იარონ მუშებმა ქალაქის საავადმყოფოში, თუ უშუალოდ ცვლის შემდეგ შეუძლიათ ადგილზე მიიღონ წყლის პროცედურები? სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ მუშები ახლა უფრო იშვიათად ავადმყოფობენ.

კულტურულ-მასობრივი ღონისძიებებისა და სანატორიუმების და დასასვენებელი სახლების საბაზურების შეძენის ხარჯები ამ წლების მანძილზე 8-ჯერ და მეტად გაიზარდა.

საკვირაოა, რომ ყველა ეს ცვლილება მიმდინარეობდეს სხვა პროცესების — საკუთარი დოყლაპაობის წინააღმდეგ მტკიცე შეტევის პარალელურად. და ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ ბრძოლაში თითქოსდა ხელახლა ჩამოყალიბდა, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა შრომითი კოლექტივი, და ეს ქარხნის ცხოვრების ყველა სფეროში იგრძნობა.

ჩვენი მუშაობა რთულია: გავარკვარებული ლითონის გვერდით მუდამ ყურადღებით უნდა იყო, ნათლად აზროვნებდე, სწრაფად იღებდე გადაწყვეტილებას. ერთის დაბნეულობა მაშინვე ახდენს გავლენას მრავალი სხვა მუშაკის საქმიანობაზე. და თუ ადამიანებისათვის ზრუნვამ მტკიცდ დაიმკვიდრა მუშათა შეგნებაში ქარხნის ბატონ-პატრონის გრძნობა, ამ გრძნობამ აამაღლა მათი მომთხოვნელობა თითოეულის შრომისადმი, აგრძნობინა მთელი პასუხისმგებლობა ამ თავისი კანონიერი მდგომარეობისათვის.

ზამთრდენები, წუნის მკეთებლები არც წინათ გვყოლია პატივში, მაგრამ ბრძოლა ხშირად ამოიწურებოდა მორალის კითხვით, შეგონებითა და ზოგადი მოწოდებით. თუ ეს საქმეს არ შველოდა, ადამიანებს ვითხოვდით. ამჟამად საქმე სხვანაირად არის: ახლა არ ეჩქარობთ დამრღვევებთან განშორებას, მათი საქციელი თანამშრომელი ამხანაგების სამსჯაროზე გაგიტანია, და უნდა ითქვას, რომ ამხანაგების მკაცრი, მტკიცე მოთხოვნა აიძულებს დამრღვევებს გონს მოვიდნენ.

ახლა ყოველ დეკადაში საამქროებში საწარმოო მაჩვენებლებთან ერთად მოდის ცნობები დისციპლინის დაცვის შესახებ და არა მარტო შრომის, არამედ ტექნოლოგიური, საფინანსო, საგამო, სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვის შესახებ. სწორედ ასე, ამ პრობლემის ყველა ასპექტი წარმოებს ბრძოლა.

ოვენში ერთხელ ვაწყობთ „დისციპლინის დღეს", ამ დღეს საამქროებში სხდომებს მართავენ კაცრის მუშებისაგან, ყველაზე ფეტორიტეტიანი ადამიანებისაგან შემდგარი სპეციალური კომისიები. ისინი დაწვრილებით მსჯელობენ თითოეულ დარღვევაზე, რა თქმა უნდა, დამრღვევის თანდასწრებით. და იმას, ვინც მუშის ღირსებას არცხვენს, ბევრი დამსახურებული მწარე სიტყვის მოსმენა უხდება.

თუ ეს ღონისძიებაც საკმარისი არ აღმოჩნდა, დამრღვევი წარდგება ქარხნის „მუშური ღირსების საბჭოს" წინაშე. საბჭოს გადაწყვეტილებით „დისციპლინის დარღვევის ამბავს აცნობებენ ხოლმე დამნაშავის ოჯახს.

ყოველი ჩვენგანისათვის, ძველი მუშებისათვის, ქარხნის ღირსება, მეტალურგის ღირსება ღირსეული სიტყვა როდია. თუ არ გესმის მუშური ღირსების დიდი მნიშვნელობა, თვით ცხოვრება ღარიბდება, კარგავს თავის მთავარ დანიშნულებას. ამიტომ ის უბედურება, რომელსაც რამდენიმე წლის წინათ რუსთავის მეტალურგიული ქარხანა განიცდიდა, ჩვენი უბედურება, ჩვენი ტკივილი იყო.

ჩვენ ვიდარ შეეურიგდებოდით იმათ, ვინც გულგრილად ეკიდებოდა საქმეს. ამავე დროს დარწმუნებული ვიყავით, რომ თითოეული ადამიანის სულში ყველისთვის იპოვი რაღაც ნაპერწკალს, რათა იგი სასიკეთო საქმეში ჩაება. როგორც მუშური ღირსების საბჭოს წევრი, ვიტყვი: დამრღვევთა საქციელს მკაცრად რომ ვგმობთ, ამავე დროს ვცდილობთ აღვუთქვათ მათ სურვილი იმუშაონ კარგად, რათა დაიმსახურონ თავიანთი ამხანაგების ქება, საკუთარი თავი იგრძნონ მუშური ამხანაგობის სრულუფლებიან წევრად. და ყოველთვის ვრწმუნდებით, რომ ეს სწორი მიდგომაა. ამას ასეთი დამაჯერებელი ფაქტებიც მოწმობს. ქარხანაში გამცდენთა რიცხვი 1975 წლთან შედარებით ერთიორად შემცირდა, 42 საამქროდან და სამსახურიდან 32-ში შარშან საერთოდ არ ყოფილა დისციპლინის დარღვევის შემთხვევა. მოქმედებს დეკეზი „არც ერთი ჩამორჩენილი, არც ერთი უდისციპლინო ჩვენ გვერდით".

ეს ციფრები და ფაქტები ჩვენი შრომითი კოლექტივის დიდ გამარჯვებას მოწმობს.

რასაკვირველია, ყოველივე ეს — შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაც და დისციპლინის დაძრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაც — ქარხნის პარტიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიდ, მიზანმიმართულ პრაქტიკულ აღმზრდელობითს მუშაობასთან კომპლექსით წარმოებს. ეს არის მუშაობა, რომელიც განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების მაღალ კომუნისტურ იდეალებსა და ზნეობრივ პრინციპებს ამკვიდრებს. გასაკვირი არ არის, რომ ჩვენს შრომითს კოლექტივს დღეს დიდი მიმზიდველი ძალა აქვს.

ქარხანაში ახლა 4.300-ზე მეტ კაცს აქვს კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება. კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო წოდება აქვს მინიჭებული 13 საამქროს, 29 უბანს, 24 ცვლას, 143 ბრიგადას.

არსებითად შემცირდა ქარხანაში კადრების დენადობა. და საერთოდ, რატომ უნდა წავიდნენ ადამიანები იქიდან, სადაც თავს კარგად გრძნობენ, სადაც მათს ზრუნავენ და ამავე დროს მკაცრად მოჰკითხავენ ხოლმე საქმისათვის, სადაც მათ ეხმარებიან უკეთესი გახდნენ, სადაც მათ თვითონ სურთ უკეთესი იყვნენ, ვიდრე არიან, უკეთ იმუშაონ, ვიდრე მუშაობენ? დავსძენ, რომ ბევრი იმათგანი, ვინც ქარხნისათვის ძნელ ჟამს სულმოკლეობა გამოიჩინა და იოლი ცხოვრების საძებნელად წავიდა, დაბრუნდა ქარხანაში, მტკიცე ადგილი დაიმკვიდრა შრომითს კოლექტივში.

ჰოდა, მეც ვფიქრობ, რომ დოყლაპიობა და გულგრილობა იქ იკიდებს ფეხს, სადაც ადამიანს არ უყვარს თავისი საქმე, სადაც საკუთარი კეთილდღეობისათვის ზრუნვას ყველაზე მაღლა აყენებენ, თანაც იკიწყებენ, რომ საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობის საფუძველი კეთილსინდისიერი შემოქმედებითი შრომაა. ხოლო როცა ადამიანს მომხვეჭელობის სურვილი ეუფლება, იგი ერთი საფეხურით დაბლა, სულიერ სიღატაკემდე ეშვება. და კიდევ, ჩემი აზრით, ცოცხალი გამოცდილება ადასტურებს, რომ ყოველთვის შეგვეწევა ძალა გამოვალოთ გზაბნეული ადამიანი უაზრო დამგროვებლობის მეშჩანურ სამყაროს. განსაკუთრებით მაშინ, როცა შრომითი კოლექტივი სრულად ახორციელებს თავის კონსტიტუციურ მოვალეობას — განამტკიცებს შრომის დისციპლინას, ზრდის თავის წევრებს კომუნისტური ზნეობის სულისკვეთებით.

რასაკვირველია, ჩვენს ქარხანაში, კიდევ ბევრი პრობლემაა, რომლებიც გადაჭრას მოელის. ახლანდელ საამქროს პარტიულ კრებაზე ვიმსჯელეთ სახელმწიფო საკუთრებისადმი დამოკიდებულებაზე.

მართალია, დიდი დატაცება ქარხანაში არ არის, მაგრამ „გამტანები" ჯერ კიდევ გვყავს: ზოგს სამარცხვინოდ არ მიაჩნია ხელს გააყოლოს ესა თუ ის წვრილმანი — ოჯახში გამომდგებაო. ანდა ავიღოთ კირი. რუსთაველში მრავალი სახლის წინ ხარობს ვაზი. შარშან მოქალაქეებმა ორმოც ტონამდე ყურძენი ჩააბარეს სახელმწიფოს; აქედან 15 ტონა ჩვენი ქარხნის მუშათა ბალ-ბოსტნის ნაკვეთებიდან, რომლებიც უნაყოფო მიწებზე გაამწვანეს. ვაზი არ იხარებს, თუ კირით, ალოდიფერი გოგირდით არ დაამშვაე, კირს, ქიმიკატებს კი ვერსად ვერ იყიდი. ისინი, ვისაც სანდისი აქვს, თხოვლობენ ყოველივე ამას ქარხანაში, ზოგი კი დაუკითხავად მიეზიდება.

მე, რა თქმა უნდა, არ ვამარცხებ „გამტანებს", პირიქით, ეს მოვლენა შეეწყნარებლად მიმაჩნია. ამასთანავე მინდა ყურადღება მივაპყრო საკითხის მეორე მხარეს: ვთქვათ, იგივე კირს ანდა ოჯახში საჭირო საშენ მასალებს, ჩვენში ვერსად ვერ იყიდი. აი ამაზეც ღირს ფიქრი. მე მგონი, საუკეთესო გამოსავალია შეეგმნათ ქალაქში მაღაზია, სადაც შესაძლებელი იქნება კაცმა იყიდოს ყოველგვარი წვრილმანი საოჯახო საჭიროებისათვის, კერძოდ, ბალ-ბოსტნის ინვენტარი, კირი, ქიმიკატები. მაშინ „გამტანებიც" აღარ ინქმიან და, რაც მთავარია, ადამიანები აღარ ჩაიდენენ საქციელს, რომელიც ეწინააღმდეგება ჩვენს სოციალისტურ ზნეობას.

მე ვფიქრობ, რომ მაღალი კომუნისტური იდეალების სულისკვეთებით ადამიანის აღზრდა ბავშვობიდანვე უნდა დაეწყოთ, გულმოდგინედ და უნარიანად ჩაუნერგოთ ბავშვებს, ახალგაზრდებს იმ ჭეშმარიტ ცხოვრებისეული ღირებულებების სწორი გაგება, რომლებიც ფულით ვერ განიზომება — ეს არის სიკეთე, ადამიანურობა, შრომის სიყვარული, მოვალეობის გრძნობა, ჩვენი დიდი მიზნების საკეთილდღეოდ თავდადებისათვის მზადყოფნა, რათა, ცხოვრებას რომ იწუალს, ახალგაზრდა კაცმა მტკიცედ იცოდეს: როცა ჩვენი, საერთო საქმისათვის — მთელი საზოგადოების აყვავებისათვის ვზრუნავთ, ამით თითოეული ჩვენგანის კეთილდღეობისათვის ვზრუნავთ.

ე. კურტანიძე,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს მვალცავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.
„იზვესტია", 24. VI. 78 წ.



მეცხოველეობის კომპლექსი



ცხაკაიას რაიონის სოფელ გოლასკურში შენდება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშიანი მოზარდეულის გამოსაზრდელი საკოლმეურნეობათშორისო კომპლექსი. იგი განკუთვნილია 2900 სული პირუტყვის შესახებად და დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ყოველწლიურად გამოუზრდის ჯიშიან ხბორებს.

გათვალისწინებულია მომავალი წლის 7 ნოემბრისათვის დამთავრდეს კომპლექსის მშენებლობა, რომელიც შეავ ცხაკაიას მეცხოველეობის საკოლმეურნეობათშორისო გაერთიანების შემადგენლობაში.

სურათებზე: აქ შენდება გოლასკურის ჯიშიანი პირუტყვის გამოსაზრდელი საკოლმეურნეობათშორისო კომპლექსი; ერთ-ერთი საძროხის ლითონის ფერმების დამონტაჟება; მშენებელთა ბრიგადირი შოთა არჩაია.

გ. პიპპაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ძმურ, მეგობრულ ვითარებაში

(დასასრული)

გვახსოვს ის მრისხანე დღეები, როცა ბელორუსი ხალხი ჩვენი საშობლოს ყველა სხვა ხალხთან ძმური ერთიანობით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეურაცხყოფა ებრძოდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს, როცა საბჭოთა არმია მამაც სახალხო შურისმაძიებლებთან ბელორუსელ პარტიზანებთან ერთად მოსრეადა საძულველ მტერს. ბრესტთან და ბარანოვიჩთან, ბობრუისკთან და გომელთან, მოგილიოვთან და ორშასთან, ბორისოვთან და ვიტებსკთან, მყრალ ფინეთიც ადავდა ყოველ მტაცველ მშობლიურ მიწას. შემდეგ კი მიერეკებოდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს.

დაუვიწყარ ორმოცდაერთ წელს მინსკისათვის ბრძოლებში საბჭოთა მეომრებმა უმაგალითო მამაცობა და ნამდვილი გმირობა გამოიჩინეს. ჩვენ ისევ და ისევ გვანცვიფრებს ბელორუსიის დეკა დაქალიის დაცვის. გმირების, გულადი ტანკისტების, მამაცი ქვეითი ჯარისკაცებისა და არტილერისტების თავდადება, რომლებიც აქ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში შეებნენ მტრის ჭარბ ძალებს. ჩვენს აღტაცებას იწვევენ სახელოვანი მფრინავები, რომლებიც გაბედულად უტევდნენ ფაშისტურ სვავებს.

დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად აღსდგა რესპუბლიკის მთელი მოსახლეობა. ბელორუსიის მიწა-წყალზე საძულველი მტერი თავს ისე გრძნობდა, როგორც ალყამემორტყმულ ციხე-სიმაგრეში. მტერს ყველგან ფეხქვეშ ეწოდა მიწა და ყველგან წუდებოდა ხალხის შურისმგებელი ხელი.

აქ, მინსკთან, 1944 წლის ივლისში შეიკრა ალყის ჯაჭვარმაზარი რკალი, რომელშიც მოექცა და განადგურდა მტრის დიდი დაჯგუფება.

საშობლო ორმოცდაერთ წელს მინსკისათვის ბრძოლებში საბჭოთა მეომრებმა უმაგალითო მამაცობა და ნამდვილი გმირობა გამოიჩინეს. ჩვენ ისევ და ისევ გვანცვიფრებს ბელორუსიის დეკა დაქალიის დაცვის. გმირების, გულადი ტანკისტების, მამაცი ქვეითი ჯარისკაცებისა და არტილერისტების თავდადება, რომლებიც ბელორუსიის ბრძოლაში ბრძოლობენ ბრესტიდან ბობრუისკამდე, ბარანოვიჩიდან ვიტებსკამდე, ორშიდან ბორისოვამდე, ბობრუისკიდან ბელორუსიის ბრძოლებამდე, ბელორუსიის ბრძოლებიდან ბალტიისპირეთამდე, ბალტიისპირეთიდან ბერლინამდე, ბერლინიდან ბალტიისპირეთამდე, ბალტიისპირეთიდან ბელორუსიამდე, ბელორუსი

ადამიანი შენს გვერდით

□ როცა მიზანი ერთია — ხელმძღვანელის ავტორიტეტი
ყოველდღიური ქცევის ნორმა □ საწარმოს „ბატონ-პატრონის" გრძნობა

ადამიანისათვის კოლექტივი, რომელშიც იგი მუშაობს, თავისებური სახლია არის, ოჯახიც და სკოლაც. სწორედ აქ გადადაცემა ერთი თაობიდან მეორეს პროფესიული გამოცდილება, ოსტატობა, ნამუსიანი შრომის ჩვევა — აღნიშნავდა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი პროფკავშირთა საკავშირო ფორუმზე. სწორედ ამის შესახებ მოვუთხრობთ ჩვენს მკითხველებს ამ წერილში.

ეათე ხუთწლედის მესამე წელი თავისი სიმწიფის ხანაში შედის, აქედან უკვე კარგად ჩანს ის პრიორიტეტები, რისი გაკეთებაც შეგვიძლია, რის ნაცვალგებასაც გვპირდება იგი.

ახლა ბევრგან ჩვენი საქმიანობის ყველა უბანზე, ხაწარმოო კოლექტივში შემოქმედებითად უდგებიან — როგორ უზრუნველვყოთ გეგმებისა და ვალდებულებების განუხრელად განხორციელება, ხად ვეძებოთ რეზერვები, როგორ მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების ამაღლებასა და თვითღირებულების შემცირებას და ა. შ.

სიტყვა კოლექტივი შემთხვევით არ გვიხსენებია. შრომის კოლექტივებში სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტის გვერდით, წარმატებათ წყდება მეორე, შეიძლება თქვენს უფრო დიდმნიშვნელოვანი საკითხიც — **ადამიანის კომუნისტური აღზრდა.** განვითარებული სოციალისტური საზოგადოების სახე, მისი ნიშნები და თავისებურებანი ნათლად ჩანს პიროვნებისა და კოლექტივის ურთიერთდამოკიდებულებაში. შრომის კოლექტიური წესი განსაზღვრავს ერთი ადამიანის მეორისთან. კოლექტივში ვლინდება ადამიანზე ზემოქმედების, მისი პიროვნების აღზრდის შესაძლებლობა. განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შრომითს კოლექტივს ეკისრება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფუნქცია — აღზარდოს თითოეული მშრომელი კომუნისტური მშენებლობის აქტიურ, შეგნებულ მებრძოლად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესახებ" ნაჩვენებია, რომ „ეს ორი ფაქტორი ერთიანობაში ერთ-ერთ ძირითადი ნაწილის შრომითის ბიოგრაფიაში ჩაიხედავთ. მუშების აბსოლუტური უმრავლესობა ის ადამიანებია, რომლებსაც ერთხელ არჩეული პროფესია. სამუშაო ადგილი სხვაზე არასდროს გაუცვლია. ისინი ეზიდებიან ძირითად ტვირთს ყველა პასუხსაგებ უბანზე, ზრდიან მომავალ ელას, პირველი მიდიან იქ, სადაც კოლექტივს უჭირს, პირველი ეხმაურებიან სხვათა მნიშვნელოვან თაოსნობებს... ასე შეიძლება ვისაუბროთ მთელ რიგ საამქროებზე.

ასეთ კოლექტივთა რიგებს არც ისე დიდი ხანია შეემატა **ამ ქარხნის № 9 მექანიკური საამქ

როც.** რომელიც აგერ უკვე რამდენიმე თვეა პირველობას არავის უთმობს სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ჩარხმშენებლობის საქმეში ჩახედულმა კაცმა კარგად იცის თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მექანიკურ საამქროს მთელი საწარმოს გამართული მუშაობის უზრუნველყოფად. აქაური ხარატები, მბურღავები, მჭრეხავები, ყველა იმ მცირე დეტალია და სათადარიგო ნაწილს ამზადებენ, რაც კი ქარხნის ძირითადი პროდუქციის სერიული და სპეციალური მილდამმუშავებელი ჩარხების ასაწყობად არის საჭირო.

ჯერ კიდევ წლის დასაწყისში, სოციალისტურ შეჯიბრებაში რომ ჩაებნენ. საამქროში გადაწყვეტეს ეშრომათ დეკემბერი: **„ერთი ყველასათვის. ყველა ერთასათვის". დახმარებოდნენ ერთმანეთს,, რომ არ პყოლოდათ არც ერთი ჩამორჩენილი.**

დღეს ზოგან მოდად იქცა სხვათა თაოსნობების ერთი ხელის დაკვრით შეუსწავლელად გაზიარება და ვითომც „დანერგვა". ამან კოლექტივების ინიციატივა ერთგვარად მოადუნა. წარმოების ხელმძღვანელებსა და მუშებს იქვე, თავთავიანთ სამუშაო უბანზე ახალ-ახალი რეზერვების ძიება დაიწყა.

რა დასამალავია, რომ ჩვენს მრეწველობაში და მათს შორის ჩარხმშენებლობაში, ინდივიდუალური შეჯიბრება ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე. ამიტომ ამ მხრივ ყოველ გამოცდილებას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება, რომ როგორმე თავიდან აიცილოთ ისეთი პრაქტიკა, როცა ინდივიდუალურ მომუშავეთა ვალდებულებების ერთ გარკვეულ „თარგს ჭრიან" და მას ერთნაირად უსადაგებენ ყველას — სუსტსა თუ ძლიერს, გამოცდილსა თუ გამოუცდელს. ასე თორმალურად ივსება ვალდებულებების გრაფები არარეალური ციფრებით, მათზე კი არავითარი წარმოდგენა არა აქვს მას, ვისაც ეს ეხება. ასეთი შეჯიბრება, ეხადია, ვერ ჩაითვლება შეგნებულ მოძრაობად და მას მხოლოდ ზიანი თუ მოაქვს.

კიროველთა გამოცდილება კი სწორედ ფორმა შეგნებაზე დამყარებული ინდივიდუალური შეჯიბრებაა და იგი გავრცელების ღირსია. აქ შეისწავლეს თითოეული მუშის შესაძლებლობანი, აწონ-დაწონეს ადგილებზე შემუშავებულ-მიღებული ვალდებულებები და მხოლოდ მის შემდეგ დაამტკიცეს ისინი, როცა ხელახლა გაიცნეს ინდივიდუალურ შემსრულებლებს. ჩარხმშენებლები ორივე ფორმა შორს წაიყვანენ, ეს მეთოდი არა მარტო პირად ყოველდღიურ თუ ყოველდღეკადურ, არამედ ფორმა ხანგრძლივ პერსპექტიულ გეგმა-ვალდებულებებზეც კი ეაავრცელეს.

გადადებული გეგმა-ვალდებულების მიღება ერთი საქმეა, შესრულება კი-მეორე. ამ მოთხოვნის მხრივაც მეცხრე საამქროს ადმინისტრაციის, პარტიული ორგანიზაციის, მთელი კოლექტივის მუშაობა საყურადღებოა.

გადადებულ გეგმა-ვალდებულებების შესრულებას საამქროს კოლექტივმა მაღარი საფუძველი ამოავითვე შეუქმნა. როცა ისინი იკისრა. საამქროს ყველა უბანზე დეტალურად შეამოწმეს სამუშაო დროის გამოყენება, გამოძებნეს ჩარხ-დანადგარების მაქსიმალურად დატვირთვის რეზერვები და, რაც მთავარია, იზრუნეს იმისათვის, რომ **კოლექტივი ადგილი არ ჰქონოდა ხაქმის „გარეშე მეთვალყურეობას", რომ ყოველი კოლექტიური დავალება პირად დავალებად აღქმულიყო:** აღნუსხეს ეფექტიანობის გადიდების ყველა რეზერვი და ისინი კოლეტივს გააცნეს, ფირთო მსჯელობის საგანი გახადეს...

მთავარი ყურადღება, ცხადია, **სამუშაო დროის ეკონომიის რეზერვებს დაუთმეს.** არ დავიწყნიათ თითქოს წვრილმანი ფაქტებიც კი. აკიღოთ ასეთი მაგალითი: საამქროში სასმელი წყალი არ იყო. მუშები მისთვის საწარმოს ეზოში დადიოდნენ. საამქროს ბოლოდან წასულნ მუშას, წყალი რომ დალია და მაშინვე თავის ადგილზე დაბრუნებულიყო, 5-7 წუთი მაინც სჭირდებოდა. ცხადია, ამ დროს ჩარხი უნდა გამოერთო, რადგან საამქროში მცირე ზომის დეტალები მზადდება და ოპერაციები სწრაფად მიმდინარეობს.

მაგრამ ვის უნდა მოეყვანა სასმელი წყალი? ცხადია, საწარმოს შესაბამის სამსახურებს, მაგრამ ისინი საამქროში კანალიზაციის უქონლობას იმიზეზებდნენ. მეცხრე საამქროს კოლექტივმა გადაწყვიტა არ დალოდებოდა „ზემოდან" როდის გადაწყვეტდნენ საკითხს და თვითონვე გაეკეთა ყველაფერი. რამდენიმე დღეში ბრიგადამ წყალი გამოიყვანა. სამაგიეროდ, ამ საქმის ინიციატორთა მაგივრად მათმა კოლეგებმა იმუშავეს — მათი პირადი დავალებებიც 105-105 პროცენტით შესრულდა. საამქროში წყლის შადრევანი აჩუხჩუხდა...

საამქროს უფროსი **ჯუმბერ თოფურია** იგონებს:

„ერთ დღეს საწარმოს დირექტორმა მიხმო და მითხრა: სასწრაფო შეკვეთა მივიღეთ, ძალიან გვიჭირს, იქნებ თქვენი საამქროს ბიჭები დაგვეხმარონო. სიმართლე გითხრათ, ჩვენც ძალიან გვიჭირდა, იმ თვეში ლითონით მომარაგება ცოტა შეფერხდა და რიტმი დაირღვა, დანაკლისს აღდგენაზე დაძაბულად ვმუშაობდით. საამქროში შესვენებისას დავბრუნდი და წითელ კუთხეში რამდენიმე მუშა დამხვდა. დანარჩენები შესვენების დამთავრებას აღარ დაელოდებოდნენ და ჩარხები ჩაერთოთ.

გადავეცი მათ დირექტორის თხოვნა. სამიგემ **მ. ანდრიუაშ, გ. ქოიავამ, ი. დარჩიამ** დახმარება აღმითქვეს. საღამოს კი ათობით მოხალისე მოვიდა და დავალება გაინაწილა. ჩვენმა ბიჭებმა ვადაზე ადრე შეასრულეს დავალება. რომლის შესრულებაც ფიზიკურად არ შეეძლო გადატვირთულ № 14 საამქროს. კოლექტივს. ამასთან ჩვენი ჩამორჩენაც დაძლიეს!"

არაფერი ისე არ ამაღლებს ადამიანს, პიროვნებას, როგორც აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, როცა საზოგადოებრივი მოვალეობისადმი შეგნებული დამოკიდებულება, სტიკვისა და საქმის ერთიანობა ჩვენი ყოველდღიური ქცევის ნორმა ხდება...

მსუბუქ მრეწველობაში ნაკლები დანახარჯებით მეტი პროდუქციის გამოშვების ერთ-ერთ დიდ რეზერვად დღეს **გაფართოებული ზონით** მუშაობა ითვლება. სასიხარულოა, რომ ჩვენი ბევრი მოწინავე ფეიერი „ხარკს უხდის" ამ მნიშვნელოვან მოძრაობას, მაგრამ იგი მასობრივი მაინც ვერ გახდა. პირდაპირ თუ ვიტყვით, ეს იმის შედეგიც არის, რომ აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციაზე ჯერ კიდევ ვერ დგას ჩვენი წარმოების უმაღლესი თუ საშუალო რგოლის ბევრი ხელმძღვანელი მუშაკი, რომელიც ვალდებულია პირადი მაგალითით ზრდიდეს და „პროფესიულ ოსტატობას უმაღლებდეს თავის ხელქვეითთ.

აღნიშნა რთული საქმეა, მაგრამ, როგორც ყოველდღიური პრაქტიკა, ადამიანებთან მუშაობის გამოცდილება

ადამიანი შენს გვერდით

ურმეთი კოლექტივის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული **ხელმძღვანელზე, მის უნარსა და ორგანიზატორულ ნიჭზე.** კოლექტივისა და ხელმძღვანელის ურთიერთდამოკიდებულება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საერთო წარმატებებს და ჩავარდნებს.

ამიტომ უკვე თავს იჩენს საკითხი — რა პრინციპით ხდება საერთო მიზნისათვის ბრძოლა, რა აძლევს მამართულებას კოლექტიურობის ძირითად მაგისტრალს? ცხადია, აქ ამოსავალ დებულებად უნდა იქცეს ლენინის აზრი — განხილვა ერთად, პასუხისმგებლობა — ერთპიროვნული.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შრომითი კოლექტივის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი სწორედ ის არის, რომ კოლექტიურობა კი არ გამორიცხავს და კი არ ამცირებს ხელმძღვანელის ერთპიროვნულ პასუხისმგებლობას, არამედ ცნობს მის ავტორიტეტს და ამავე დროს ანვითარებს და ავსებს მის ერომმართველობას.

— როგორი უნდა იყოს თქვენი წარმოდგენით შრომითი კოლექტივის ხელმძღვანელი? — ჰკითხეს ერთ-ერთ სპეციალურ შეკრებაზე მოწვე	sაა საამქროებისა და უბნების ხელმძღვანელებს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში; აინტერესებდათ ის, თუ რა კონტაქტი არსებობს მუშებსა და საწარმოს საშუალო რგოლის ხელმძღვანელებს შორის, როგორ ესმით მათ თავიანთი ფუნქციები და ამოცანები.

— ყველა რგოლის ხელმძღვანელს გავლილი უნდა ჰქონდეს მთელი გზა შეგირდობიდან ოსტატობამდე, — თქვა კოლეგების სახელით კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მაშინელმა უბნის უფროსმა **ჯ. თოფურიამ,** — ამასთან კარგად უნდა იცნობდეს ყოველი მუშაკის საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობებს, ტრიალებდეს მის გვერდით, ყურს უგდებდეს რჩევას და თვითონაც იყოს მრჩეველი მეგობარი და მზრუნველი ხელმძღვანელი.

თვით ჯ. თოფურია ამის ცოცხალ მაგალითს იძლევა.

მან ხარატობით დაიწყო, უმაღლესი დაუსწრებლად დაამთავრა, მუშაობდა ტექნიკური კონტროლის ინყოფილების მუშაკად, უბნის ტექნოლოგად, ტექნოლოგიური ბიუროს უფროსად. შემდეგ უბნის უფროსად დანიშნეს. აქედან იწყება მისი, როგორც ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის ბიოგრაფია. მანამდე ჩამორჩენილი უბანი უმოკლეს დროში ქარხანაში მოწინავეთა რიგებში ჩადგა, ხოლო მისი ინდივიდუალური სოციალისტური შეჯიბრების გამოცდილება, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, არა მარტო საწარმოში, არამედ მთელ რესპუბლიკაში გახდა ცნობილი. ამ შეჯიბრებამ დიდი წარმატება მოუტანა უბნის კოლექტივს, იგი შიდასაქარხნო შეჯიბრების უცვლელი გამარჯვებული გახდა და სამჯერ ზეციდზედ მოიპოვა პირველი ადგილი სსრ კავშირის ჩარხმშენებლებისა და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს, საწარმოო უბნებს შორის გაჩაღებულ შეჯიბრებაში. უბნის მშრომელებმა პრემიის სახით ათასობით მანეთი მიიღეს, ჯ. თოფურიას კი სამინისტროს სისტემის საუკეთესო ოსტატის და ხელმძღვანელის სპატეო წოდება მიენიჭა...

მეორე ცვლა საკრძნობლად ჩამორჩებოდა პირველ ცვლას. ყოველდღიურად გამოუყენებელი რჩებოდა ათობით ჩარხი, რომელზეც ათასობით მანეთის პროდუქციის დამზადება შეიძლებოდა. უბნის უფროსის ჯ. თოფურიას ჩანაფიქრმა — გაეფართოებინათ სამუშაო ზონა და მაღალი კვალიფიკაციის მუშებს ერთი ჩარხის ნაცვლად ერთდროულად რამდენიმე აგრეგატზე ემუშავათ, ხოლაც შეისწავლა ვეზობელი საფეიერო საწარმოს ნოვატორების საქმიანობის გაცნობით და მათი მაგალითით.

ფეიერებს ხომ უკვე გაფართოებული ზონით მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდათ. მიზნის მისაღწევად საჭირო იყო მხოლოდ კარგი სამუშაო პირობები, მაღალი კვალიფიკაცია, სანიმუშო დისციპლინა და დიდი პასუხისმგებლობა. სულ მცირე დრო დასჭირდათ, რომ მთელ უბნს ახალი მეთოდით ემუშავა. ასე **დაბადა თაოსნობა, რომლის დევიზი იყო „ჩარხი არ უნდა ცდებოდეს".**

ამ თაოსნობას ყველა საამქრო და უბანი გამოეხმაურა, ასე მზადდებოდა ნიადაგი მიღწევებისათვის, და, როცა ყველაზე მოწინავე მრანდავის **გ. გარხევანიშვილის** მუშაობის მეთოდები უბნის უფროსმა შეისწავლა, გაანალიზა და მერე მის მაგალითზე თითოეული მუშის პირადი ვალდებულებები შეადგინა და შეამზადა ისინი ახალი დავალებების შესასრულებლად, უკვე საფუძველი ჩაეყარა იმ გამარჯვებას, რომელიც მაშინ უბანმა საკავშირო შეჯიბრებაში ზეციზედ მოიპოვა.

ხელმძღვანელის ავტორიტეტი მხოლოდ შრომითი წარმატებების მოპოვებაში როდი იჩენდა. როცა თითოეული მუშა გრძნობს მის ყურადღებას და მზრუნველობას, თითონაც ცდილობს ამოუდგეს მას მხარში, უყოყმანოდ შეასრულოს მისი ყოველი მითითება, სხვებთან ერთად იბრძოლოს საერთო საქმის გამარჯვებისათვის.

როცა მუშას ა. **ერმაკოვს** გაჭირვების ჟამს უბნის უფროსი და ამხანაგები თავს დასტრიალებდნენ, მწუხარებას უმსუბუქებდნენ და გულთან ახლოს მიჰკონდათ მისი სატკივარი, აქამდე კოლექტივიდან განზე გამდგარი, მხოლოდ „თავისთვის" მომუშავე, მაგრამ უაღრესად მოყვათი, საქმის ერთგული კაცი უცაბ შიიცალა და მისი კარჩაკეტილობისაგან თითქმის ფიზიფერი დარჩა. ა. ერმაკოვმა ირწმუნა გვერდით მყოფი ადამიანების ძალა, რომ რაკი ისინი გაჭირვებაშიც შენთან არიან, არა გაქვს უფლება უგულგრძელოო კოლექტივის საერთო ინტერესები და განზე დადგე.

ახლა მუშა **ვ. ირემაშვილს** ჰკითხეთ და გეტყვით, როგორ შეუნარჩუნეს ჯ. თოფურიამ და მისმა უბნის, ბიჭებმა ოჯახი. ხდება ადამიანის ცხოვრებაში გაუთვალისწინებელი რამ, უბრალო უსიამოვნება, თუ მას ლაგამი არ ამოსდე, შეიძლება ტრაგედიად იქცეს. ასეთი რამ დატრიალდა ვ. ირემაშვილის თავზეც, პირველმა ჯ. თოფურიამ შეამჩნია მას აფორიაქება და ეუბასაუბრა, გვერდზე გაიხმო და ამბავი ჰკითხა. ვ. ირემაშვილს არ დაუფარავს მიზეზი.

კოლექტივის დახმარებამ, მეგობრების ყურადღებამ სამუდამოდ ბედნიერების გზაზე დააყენა დანგრევის პირას მისული ოჯახი. ვ. ირემაშვილმა კი ორმაგად დაუბრუნა მეგობრებს სიკეთე, მოწინავე ოსტატი გახდა, და ერთერთია იმ სამთაგან, რომლებმაც პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მიზნით განცხადებით მიმართეს ქარხნის ადმინისტრაციას — გადაეკინძათ და ჩამოეფასებინათ ერთი სახეობის დეტალის გამოჩარხვის ღირებულება, რადგან მისი დამზადება უკვე ნაკლები შრომის დახარჯას მოითხოვდა.

ხელმძღვანელის გამჭრიახობა, მისი ადამზრდელობითი ფუნქცია ინდივიდთან კონტაქტში წარმოჩნდება და აქვე დასტურდება, თუ რამდენად ძალუძს მას საერთო მიზნის მისაღწევად აღანთოს როგორც თითოეული მუშაკი, ისე მთელი კოლექტივი, შექმნას ამ კოლექტივში მეგობრული ატმოსფერო და ჩაუნერგოს თითოეულს საკუთარი ძალებისადმი რწმენა.

...თბილისის ტრიკოტაჟის თეთრეულის საწარმოო გაერთიანების მეთაური საწარმოს სალენტე-საფთილი საამქროს „ა" ცვლის მუშა **ც. ტუღუში** გვიამბობს:

„საამქროში პირველად რომ მივედი, ოსტატმა გულნარა ოდიკაძემ მანქანები დამთვალიერებინა, უსაფრთხოების ტექნიკა გამაცნო, ზუსტად ოჯახურ ამბებზეც მეკითხებოდა, მერე საფთილ მანქანასთან მიმიყვანა და მუშაობის ხერხები მაჩვენა. ძალიან გამიჭირდა, თითქმის არაფერი არ გამომდიოდა. ოსტატი კი ახლოსაც არ მეკარებოდა, ვგრძნობდი მხოლოდ, რომ შორიდან თვალს მადევნებდა. ბოლოს მომიახლოვდა და მე თითქმის სასოწარკვეთილმა ვუთხარი: არაფერი არ გამომდის, ნამდვილად ვერ შევძლებ მუშაობას-მეთქი. მანუგეშა, საფთილე მანქანა რთულია და აქ ამბტომ გიჭირს, შენგან ნამდვილად საუკეთესო მელენტე დადგებაო... ამ სიტყვებმა დამამშვიდა. ახლა კარგად ვიცი, სალენტე მანქანა საფთილეზე ნაკლებ რთული რომ არ ყოფილა, მაგრამ იმ დღეს მასზე თითქოს რაღაც უკეთესად მოვახერხე მუშაობა, თითქოს ნაკლებ გამიჭირდა, ორჯერ ჩამოვხსენი კიდეც მზა პროდუქცია. ის დღე არ დამავიწყდება".

ასე იმოქმედა ადამიანის სულზე გამოცდილმა ოსტატმა. ცოტა მოგვიანებით მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში გ. ოდიკაძემ ერთერთმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი გაფართოებული ზონით საქმიანობას და პირადი მაგალითით დაარწმუნა სხვები, რომ რამდენიმე მანქანაზე მუშაობა შესაძლებელია. ეს კი აუცილებელი იყო, რადგან საწარმოს მუშახელი აკლდა და გეგმების შესრულებას საფთხე ემუქრებოდა.

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ დიდ ქარხანაში სოციოლოგიური გამოკითხვის დროს მიეცემელ კითხვაზე, თუ რა აძლევთ სტიმულს მუშაობაში, მუშათა უმრავლესობამ ასე უპასუხა: საწარმოს „ბატონ-პატრონის" გრძნობაო. ეს უბრალოდ ნათქვამი სიტყვები არ არის. ისინი სავსეთა გამოხატავს ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის სულიერ მდგომარეობასა და შეგნებულობას.

ამ კითხვაზე ასეთსავე პასუხს გასცემდნენ ალბათ ყოველი საწარმოს მშრომელები — ადამიანები, ვისთვისაც ახე ძვირფასია სამშობლოს კეთილდღეობა, პარტიის დიდ მიზანდასახულებათა განხორციელებისათვის ბრძოლა, აღებული ვალდებულებებისა და ერთხელ ნათქვამი სიტყვის პირნათლად შესრულება.

ბოლო წლებში ჩვენს რესპუბლიკაში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისათვის გაჩაღებულმა ბრძოლამ უდიდესი გარდატეხა შეიტანა ჩვენი მშრომელების ცხოვრებასა და საქმიანობაში. მოწოდებისთანავე ერთსულოვნად დადგნენ რა პარტიის გვერდით, დროის ისტორიულად მცირე მონაკვეთში რესპუბლიკის მუშებმა, გლეხობამ, ინტელიგენციამ გვიჩვენეს, რომ მათთვის უცხოა სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის ყაბული, რომ უმწიკვლო, შემოქმედებითი და თავდადებული შრომა იყო და მარად დარჩება ჩვენი ადამიანების ხასიათოსტლო ინტერესების ნათელ გამოხატულებად.

პარტიის ძალა, ნება და როლი სწორედ კარგად ჩანს თუნდაც იმ საწარმო კოლექტივების მაგალითით, რომლებზეც ამ წერილში გვქონდა საუბარი.

ზემოთ შემოხვევით არ გვისაუბრია კიროვის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივზე. ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე სამართლიანად გააკრიტიკეს ჩარხმშენებლები იმის გამო, რომ აქაური ამხანაგები ვერ იღებენ გაბედულ გადაწყვეტილებებს და მათ არც თუ მთლიანად მაკმაყოფილებთ თავიანთი ნარმოების განვითარების პერსპექტივა.

უდავო ჭეშმარიტებაა — ჩარხმშენებლებმა თვით წარმოების წიაღში უნდა ეძიონ და გამონახონ საჭირო რეზერვები, მით უმეტეს, რომ ამის გამოცდილება აქვთ. მათ კარგად იციან თუ როგორ დაწინაურდა ბოლო ორი თვის მანძილზე ერთ დროს ძლიერ ჩამორჩენილი მეცხრე საამქრო, როცა იქ მეხ უფროსად ავტორიტეტიანი და გამოცდილი ხელმძღვანელი გადაიყვანეს.

გამოკითხვას, რომელზეც ახლა გიამბობთ, სოციოლოგიურ გამოკვლევათა კატეგორიას ვერ მივაკუთვნებთ, მაგრამ, ვფიქრობთ, იგი უეჭველ გამოდგება ჩარხმშენებელთა კოლექტივის ცხოვრებისეული პოზიციის, საერთო მოღვაწეობის ერთგვარ ხაზომად.

ათეულობით მუშას, ამწყობ-ზეინკლებს, ვინც უშუალოდ ჩარხებს ამზადებს, მუშაობის დროს ერთიდაიმავე კითხვით მივმართეთ: თუ რას აკეთებდა, რას საქმიანობდა. ცხადია. პასუხები სხვადასხვა იყო („ჩარხის ყვანძს ვაწყობ", „ვმუშაობ, რომ ოჯახი ვარჩინო"... და სხვ.), მაგრამ მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ამაყად განაცხადა: „ჩარხს ვამზადებო!".

ასეა. ერთსადაიმავე საქმეს ადამიანები ფეიქლება სხვადასხვანაირად მიუდგებენ, მაგრამ ყოველი წარმატება მხოლოდ მაშინ იქნება უთუოდ უზრუნველყოფილი, როცა არა პირადული შეგნება, არამედ საზოგადოებრივ ინტერესებამდე ამაღლებული, შინაგან მოთხოვნილებად ქცეული კეთილსინდისიერი გრძნობა გახდება კოლექტივის ყოველდღიური საქმიანობის მეგზური.

ნ. ჯაველიძე.
რ. ჭელიძე.

დ. ვ. გელაშვილი



69 წლისა, მძიმე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დიმიტრი ვასილის ძე გელაშვილი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, 1938 წლიდან სკკპ წევრი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, ძალ-ღონე და ნიჭი დ. გელაშვილმა მოახმარა ხალხის სამსახურს, პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლას.

დ. გელაშვილი დაიბადა 1908 წელს ბორჯომის რაიონის სოფელ ლიკანში, ღარიბი გლეხის ოჯახში. შრომითი ცხოვრება მან 1925 წელს დაიწყო სატკეხე ქარხანაში, სადაც იგი სახელოსნო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოვიდა და ოთხი წლის განმავლობაში ზეინკლად მუშაობდა. აქვე, ქარხანაში, იგი მიიღეს სკკპ რიგებში. მას შემდეგ ზუსტად ნახევარი საუკუნეა — დ. გელაშვილის ცხოვრება უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული კომუნისტურ პარტიასთან. პარტიული მუშაობა მისი ცხოვრების, პატრიოტის, სამშობლოს უსაზღვროდ ერთგული ადამიანის ცხოვრების აზრი იყო.

1933 წელს, როცა საკავშირო პროფსაბჭოსთან არსებული პროფმოძრაობის უმაღლესი სკოლა დაამთავრა, დ. გელაშვილი დანიშნეს პარტიის მახარაძის რაიკომის განყოფილების გამგედ. 1937 წელს კი ირჩიეს მის მდივნად. ამ დროიდან მოყოლებული განუწყვეტლივ ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზეა.

1939 წელს დ. გელაშვილს ირჩევენ პარტიის ახალქალაქის რაიკომის მეორე, შემდეგ კი პირველ მდივნად.

დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში პარტიის ადიგენის რაიონის პირველი მდივნის პოსტზეა.

1948-1959 წლებში დ. გელაშვილი საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის, შემდეგ კი ქალაქ თბილისის სამგორის რაიკომის პირველი მდივანია. ორგანიზატორულმა ნიჭმა, საქმიანმა და მაღალმა ადამიანურმა თვისებებმა — ზნეობრივმა სიწმინდემ, პრინციპულობამ, მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის უდიდესმა გრძნობამ, ადამიანებისადმი გულისხმიერებამ — მშრომელთა სიყვარული და პატივისცემა მოუხვეჭეს მას.

უკანასკნელი 16 წლის მანძილზე, პენსიაზე გასვლამდე, დ. გელაშვილი მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარედ და მთელ თავის ენერგიას, ცოდნას, პარტიული მუშაკის გამოცდილებას ახმარდა პარტიული რიგების სიწმინდისათვის ბრძოლას ადამიანთა ბედ-იკბინით, ადამიანთა ბედ-ბედაურით, ადამიანთა ბედ-ბედნიერებით. ... ეს ... ...



ჩვენებური კარტოფილი — მოსკოველთა სუფრას

წელს მოსკოვში ძალიან დაგვიანდა ზაფხული, გაუთავებელი წვიმები და ნისლი. ცივი ამინდი იყო. ხშირად ხალმოობით ტემპერატურა მხოლოდ 2-5 გრადუსს აღწევდა. ასეთი ზაფხული, როგორც სინოპტიკოსები ადასტურებენ, 80 წელზე მეტია არ ახსოვთ დედაქალაქში. ცხადია, დაგვიანდა ისეთ პროდუქტებს, მათ შორის ახალ კარტოფილსაც, რომლებიც თავისებურ ეშხს და ლაზათს მატებს ხოლმე მოსკოველთა სუფრას.

და აი რამდენიმე დღის წინათ მოსკოვის გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა, რომ საქართველოს, სს რესპუბლიკიდან მოსკოველებს გამოუგზავნეს საადრეო კარტოფილი. ჩვენ ამის თაობაზე ვეწვიეთ მოსკოვის გაგარინის რაიონის ხილბოსტნეულის ბაზა-კანტორას, სადგურ ტოლსტომალცევოში. გვესაუბრება ბაზის კომერციული დირექტორი ზ. აფონინა.

— დიდი მადლობა ჩვენს ქართველ მეგობრებს. ვიცით, რომ უამინდობამ მათაც შეუშალა ხელი. მით უფრო დაფასებელია მათი შრომა და გარჯა. მინდა თქვენი გაზეთის მკითხველებმა იცოდნენ, რომ მოსკოვის მოსახლეობას 22 ხილბოსტნეულის კანტორა ემსახურება, ჩვენი კანტორა ერთ-ერთი უდიდესია მათ შორის: იგი გაგარინისა და ოქტომბრის, რაიონის მოსახლეობას ამარაგებს პროდუქტებით. საქართველო მოსკოველებს მიაწვდის 85.000 ტონა ახალ კარტოფილს. ეს მეტად შთამბეჭდავი ციფრია. დღემდე ჩვენმა კანტორამ უკვე მიიღო 750 ტონა საადრეო კარტოფილი. განუწყვეტელ ნაკადად მოედინება კარტოფილით დატვირთული ვაგონები. თითო ვაგონი 30 ტონას იტევს, გადმოტვირთვის შემდეგ კარტოფილს სპეციალურ მაცივრებში ვინახავთ, შემდეგ კარტოფილი სახსწრაფოდ მუშავდება და იწყობა ორკილოგრამიან პარკებში, რის შემდეგაც მოსკოვის სავაჭრო ქსელს ეგზავნება.

ამ საუბარში ვიყავით, რომ კიდევ ცხრა სპეციალური სატვირთო ვაგონი ჩამოაყენეს — მოვიდა 270 ტონა ქართული კარტოფილი.

დილის 9 საათია. ტოლსტოპალცევოს ხილბოსტნეულის ბაზიდან, რომელიც 47 კილომეტრზე მდებარეობს მოსკოვიდან, სატვირთო მანქანებს კვალდაკვალ მივყვებით.

აი მოსკოვიც. გაგარინის რაიონის ხილბოსტნეულის ბაზა № 4, გვესაუბრება დირექტორი ვ. ჭუდაკი — რუსეთის სფს რესპუბლიკის კვების მრეწველობის დამსახურებული მუშაკი.

— მეტად დროულია ჩვენთვის თქვენი მეგობრული დახმარება, ქართული კარტოფილი მშვენიერი ხარისხისაა. ამიტომ მოსკოველები სიამოვნებით ყიდულობენ. ამაში ახლავე დარწმუნდებით, — თქვა მან და მაღაზიაში შეგვიძღვა. მოსკოველები ყიდულობენ ქართულ საადრეო კარტოფილს. ვიღებთ ორ მოკლე ინტერვიუს.

ირინე ხიბრიკი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საბჭოთა კავშირის კურორტოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე: მოსკოველთა გულითადი მადლობა საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებს, ყველას, ვინც არ დაზოგა თავისი ჯაფა და ენერგია, სწორედ ეს ურთიერთდახმარების კეთილი ტრადიციაა ჩვენი ხალხების ძმობისა და მეგობრობის საწინდარი.

ე. ზაიცევა — დიასახლისი: იმ დროს, როდესაც ბაზარში საადრეო კარტოფილი მანეთ-ნახევრად იყიდება, ჩვენს მაღაზიაში 50 კაპიკი ღირს და თავისი ხარისხით და გემოთი ბაზრისახს სჭობს. დიდი მადლობა მეგობრებს.

და ბოლოს გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველთათვის თავიანი აზრი ვთხოვეთ მოსკოვის „თავვარბილმტანმრეწვიის“ გენერალური დირექტორის მოადგილეს ა. ლადოვნოვს. აი რა თქვა მან.

— ციმბირის და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში მოგზაურობისას ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამოთქმული იმ მითითების შესაბამისად, რომ უფრო სრულად უნდა დაკმაყოფილდეს ქვეყნის მოსახლეობის ეროვნულება სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, ქართველი მეკარტოფილეები საქმით უპასუხებენ, ნამდვილი შრომითი გმირობა გამოიჩინეს. როგორც ვიცით, მათ ხოფლელის დამკვრელურ წელს ვალდებულება იკისრეს აწარმოონ 55.000 ტონა საადრეო კარტოფილი, რაც შარშანდელზე 16 ათასი ტონით მეტია. აქედან საადრეო კარტოფილის გარკვეულ რაოდენობას ქართველი ძმები მოსკოველებს გამოუგზავნიან. თქვენი რესპუბლიკა ერთადერთია მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, რომელიც ჩვენი ქვეყნის დედაქალაქს ასეთ კარტოფილით ამარაგებს. გულითადი მადლობა, ძვირფასო მეგობრებო.

კეთილი საქმე ყოველთვის ფასობს.

დ. მაჭავარიანი.

„კომუნისტის“ სპკ. კორ.

მკითხველებს გვწერენ

სტუმრად კოლმეურნეებთან

ტყიბული. ამას წინათ ორირის გამსხვილებელი კოლმეურნეობის წევრებს მინდორში ავტოლუბს აგიტმხატვრული ბრიგადა ეწვია. ღია ცის ქვეშ სახელდაფერ სცენაზე კოლმეურნეებს შესვენების დროს კონცერტი გაუმართეს. მაყურებლებს განსაკუთრებით მოეწონათ ხალხური სიმღერები და მონტაჟი „მეტი შრომა, მეტი გარჯა“.

კონცერტის მონაწილეებს კოლმეურნეებმა მადლობა გადაუხადეს და გულთბილად გაიცილეს.

ი. შარაბიძე.

ახალმოსახლეობა

ბოდგანოვკა, სულ უფრო იზრდება და ლამაზდება დაბა ბოდგანოვკა, ქუჩებს ქუჩები ემატება და მწვანე ნარგავებით იმოსება.

ირგვლივ ხარაზრემმა იმძლავრა, ამას წინათ აქ ახალი კეთილმოწყობილი მრავალსართულიანი ადმინისტრაციული შენობა წამოიმართა, სადაც ბინა დიდი პარტიის რაიონულმა კომიტეტმა, რაისაბჭოს აღმასკომმა, კომკავშირის რაიკომმა, სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა, აქვე ახალმოსახლეობა იზიმა რაიონული გაზეთის რედაქციამ.

მ. სელრაკიანი.

სურათზე: ოკალისტთა ყიურის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი ირინე არხიპოვა (ცენტრში) კონკურსის მონაწილეებთან ირინე მილკევიჩუტესთან (სსრ კავშირი) და ამერიკელ სანდრა ჰარნსთან (მარჯვნივ) ერთად.

ა. კონკოვისა და ვ. კუზმინის ფოტო. (საკდესის ფოტოქრონიკა).

გამარჯვებისადმი სწრაფვა

მუსიკალური ტურნირები სპორტული ასპარეზობისაგან განსხვავებით არ ითვალისწინებენ პრიზსს „გამარჯვებისადმი სწრაფვისათვის“, მაგრამ ასეთი ჯილდო რომ არსებობდეს მას დამსახურებულად მიიღებდა ნიკოლოზ დემიდენკო. 23 წლის პიანისტის შთაგონებულ შესრულებას მთელი დარბაზი სულგანაბული უსმენდა. მაგრამ არანაკლებ აღელვებული ადევნებდა თვალს მუსიკოსს კულისებიდან ეკიმი. წინა ღამით ნიკოლოზი გაცივდა და მაღალი სიცხე ჰქონდა. მაგრამ კონკურსანტს ისე სწყენოდა ბრძოლა, რომ გამოსვლის გადატანაზე კატეგორიული უარი განაცხადა. საკონკურსო პროგრამის ყოველი ნომრის შემდეგ ნიკოლოზი წუთით კულისებში შედიოდა — ცხელ ჩაის სვამდა, სველი ხელსახოცით იგრილებდა გახურებულ შუბლს, მერე კი ისევ როიალთან გამოდიოდა ტაშის გრიალში... (საკდესი).

ექვსი მატჩი

გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეცამეტე ტურის მატჩები. გთავაზობთ შედეგებს:

„კაირატი“-„დინამო“ (კ) — 0:0
„პახტაკორი“-„სპარტაკი“ — 1:3
„არარატი“-„დინამო“ (მ) — 1:4
„ნეფთჩი“-„ზარია“ — 2:1
„ზენიტი“-„დნეპრი“ — 2:2
„ტორპედო“-„შახტიორი“ — 1:2

ღღეს ტურის ბოლო მატჩია. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ცსკა მასპინძლობს თბილისის „დინამოს“. ამ შეხვედრის ტელეტრანსლაცია დაიწყება 19 საათზე თბილისის დროით.

— მოკლედ

ველორგბოლა. ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებმა ვაშინგტონის მახლობლად იასპარეზეს ჯგუფურ რბოლაში (ტრასის სიგრძე 122 კმ და 284 მ). გაიმარჯვა ტამკენტელმა ვ. მაკარენმა.

ვინნიუსში დამთავრდა სსრ კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. გუდღური შედეგები ასეთია: გდრ-სსრ კავშირი — 196:182, სსრ კავშირი-პოლონეთი — 224:136, გდრ-პოლონეთი — 223,5:154,5. შეჯიბრებაზე როზემარი აკერმანმა (გდრ) ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში დაძლია 195 სმ, ხოლო ვიდთა შორის უძლიერესი იყო ზაპოროჟიელი ელადმერ იაშჩენკო — 227 სმ. მოსკოველმა ფაინა ელეკეა-მელნიკმა ბაფრ ტყორცნა 70,34 მეტრზე. მას 15 სმ დააკლდა იმისათვის, რომ გაემეორებინა თავისივე მსოფლიო რეკორდი.

ფიშერი ემზადება...

როგორც ბელგრადის გაზეთი „პოლიტიკა“ იუწყება, მსოფლიოს ექ-ჩემპიონმა რ. ფიშერმა ნიკშიჩის (იუგოსლავია) დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის ორგანიზატორებს მისწერა წერილი, სადაც სთხოვს გაუგზავნონ ამ შეჯიბრების პიუტენები ყველა პარტიების ტექსტით. ერთი სიტყვით, რ. ფიშერი ემზადება, მაგრამ რისთვის, რისგინ შეჯიბრებისთვის? ეს ჯერჯერობით არავინ იცის.

ოლიმპიური სიმბოლიკა

იუგოსლავიის მოსკოვის საგანგებო წარმომადგენლობამ „ინტერ-ექსპორტმა“ ამას წინათ გამოაფინა ოლიმპიური სიმბოლიკიანი საქონელი, რომელსაც იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საწარმოები უშვებენ. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ქალისა და მამაკაცის ტუალეტის სხვადასხვა ნიკთი, ტყავგალანტერიის, საფეიჭრო საწარმოების ნაკეთობანი, კოსმეტიკა და ნაირნაირი საჩუქრები.





მომავალ ჩემპიონატამდე

ოცდაშუთ დღეს გაგრძელდა არგენტინაში ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი. კვირას იგი არგენტინისა და ჰოლანდიის ნაკრები გუნდების ფინალური მატჩით დამთავრდა. დამატებით დროში ტურნირის მასპინძლებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1 და პირველად დაეუფლნენ ფიფას თასს.

შეხვედრა 12 წუთის დაგვიანებით დაიწყო იმის გამო, რომ 45 წლის არბიტრმა სერჯიო გონელამ (იტალია) თამაშზე არ დაუშვა ჰოლანდიელი რენე ვან დე კერკხოფი: ამ უკანასკნელს დაშავებული ხელის მტევანი თაბაშირში ჰქონდა. ჰოლანდიელმა ფეხბურთელებმა დატოვეს მინდორი და ეს პრობლემა იმით გადაწყდა, რომ კერკხოფს ნახევარი ერთგვარად შეუმსუბუქეს და მხოლოდ აპის შედეგ მისცა მას მინდორზე გამოსვლის უფლება არბიტრმა.

ცნობილმა ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა კრუიფმა, რომელმაც უარი თქვა ნაკრებში თამაშზე და არგენტინაში ინგლისის ტელეკომენტატორად მოგვევლინა, ასეთი შეფასება მისცა ფინალური მატჩის მეორე ტაიმს: — „მეორე ტაიმში მე დავრწმუნდი, რომ ჰოლანდიის ნაკრები გაიმარჯვებდა (მას შემდეგ რაც ნანინგამ გოლი გაქვითა). ველოდებოდი მეორე გოლსაც, მაგრამ მატჩის ძირითადი დროის ბოლო წუთზე რენსენბრინკმა ბურთი ძელს მოახვედრა. ჰოლანდიელთა დამარცხებამ ერთობ დამამწუხრა“.

დამარცხების ზარმა კი მატჩის დამატებით დროში დარეკა, რაც ათი წუთის ინტერვალით კემპესმა და ბერტონმა ჰოლანდიელთა კარში ზედიზედ 2 გოლი გაიტანეს.

— „ეს იყო კოლექტიურად შემტევი ფეხბურთის გამარჯვება, — თქვა მატჩის შემდეგ მსოფლიოს ახალ ჩემპიონთა ბედნიერმა მწვრთნელმა, 39 წლის ლუის მენოტამ. — აქამდე ჩვენ ვხედებოდით „სუპერდაცვითი“ ტიპის გუნდებს. ახლა სულ სხვაგვარად იყო საქმე. მეტოქეებმა თავიანთ თამაშს საფუძვლად დაუდეს ფორვარდების „შემხვედრი მოძრაობა“, მაგრამ, როცა დამატებით დროში სისწრაფის მომატება დაგვჭირდა, ჩვენ ეს შევძელით კიდეც. გავიმარჯვეთ ფიზიკურ შესაძლებლობათა მაღალი დონის წყალობით. მეტოქეები ძლიერნი იყვნენ დაცვაში, მაგრამ ხშირად უხეშობდნენ, მატჩის ბოლოს კი ზუსტად ვერ თამაშობდნენ. გავიმარჯვეთ იმის წყალობითაც, რომ პირველად არგენტინის ფეხბურთის ისტორიაში მსოფლიო ჩემპიონატისათვის სერიოზულად ვემზადებოდით. ვფიქრობ, ეს ტენდენციები არ იქნება მივიწყებული მამინაც, როცა მე არ ვიმუშავებ ნაკრების მწვრთნელად და გუნდში ახალი წევრები იქნებიან“.

მენოტამ, რომელიც თამაშობდა არგენტინის კლუბებში — „როსარიოში“, „რესინგში“, „ბოკა ხუნიორსში“, შემდეგ კი ბრაზილიელთა „სანტოსში“ პელესთან ერთად („ელეგანტური ფეხბურთელი“, — ასე უწოდა მენოტის პელემ), მწვრთნელად მუშაობა დაიწყო 1972 წელს. იგი „მაშინ სათავეში ჩაუდგა „ხურაკანს“ და ამ გუნდს ქვეყნის ჩემპიონობა მოაპოვებინა. 1974 წლის შემოდგომიდან მენოტა ნაკრების მწვრთნელია. ადრე იგი ამბობდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებს გამოემშვიდობებოდა (26 ივნისს ნაკრებთან მისი კონტრაქტის ვადა გავიდა). ფინალური მატჩის დამთავრებისთანავე მენოტის სთხოვეს ნაკრებში კიდევ 4 წლიდ დარჩენა. აი მისი პასუხი:

— „ახლა რაიმე გადაწყვეტილების მიღება მიჭირს. ჯერ . საჭიროა დასვენება, შემდეგ კი შევძლებ განვსაზღვრო, მეყოფა თუ არა იმის ენერგია, რომ მოვამზადო ნაკრები და ყოველივე გავიმეორო მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში“.

მენოტის მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია — გუნდის შემადგენლობის სტაბილურობა. როცა იგი ნაკრებს ჩაუდგა სათავეში, 150 ფეხბურთელიდან შეარჩია ისინი, ვინც 1976 წელს ევროპელ ტურნირში წაიყვანა (მაშინ არგენტინელებმა კიევში საბჭოთა ნაკრებს მოუგეს. ერთადერთი გოლი გაიტანა კემპესმა).

უშუალოდ ჩემპიონატის წინ მენოტის ორი გადასაწყვეტი პრობლემა ჰქონდა, მაგრამ ყოველივე სწრაფად მოაგვარა. ჯერ ერთი: ჩემპიონატში მონაწილეობაზე მოულოდნელად უარი თქვეს გუნდის კაპიტანმა, მცველმა ჯარასკოსამ და ძირითადმა მეკარემ გატიმ („შეუცვლელები არ არსებობენო“ — სთქვა ამის თაობაზე მენოტამ). მეორე: მადრიდის „რეალმა“ მცველი ვოლფი ნაკრებში არ გაუშვა, კიდევ ერთი მცველი — პიაცა ოჯახური მდგომარეობის გამო საფრანგეთში დარჩა (იგი „სენტ-ეტიენში“ თამაშობს). მენოტის უცხოეთში მოთამაშე არგენტინელთაგან მხოლოდ კემპესმა არ უთხრა უარი ნაკრებში თამაშზე. და აი, კემპესი მსოფლიო ჩემპიონატზე მოგვევლინა არა მარტო როგორც საუკეთესო ბომბარდირი (6 გოლი), არამედ როგორც საუკეთესო მოთამაშეც.

მარიო კემპესი, რომელიც ორ კვირაში 24 წლისა გახდება, თამაშობს ესპანეთის „ვალენსიაში“ და თავისი ზუსტი დარტყმებით ქვეყნის ჩემპიონატში გუნდს მესამე ადგილზე გასვლაში დიდად შეუწყო ხელი. კემპესი (თავად ამტკიცებს, რომ იგი ბავშვობიდან „რაიმეს ურტყამს მარცხენა ფეხით“) ფლობს რაღაც განსაკუთრებულ და თავისებურ ტექნიკას.

კემპესი არგენტინის ნაკრების ნახევარმცველთაგან და თავდასხმელთაგან ერთადერთია, რომელმაც ზვიდივე მატჩში შეუცვლელად ითამაშა. გუნდში ყველაზე სტაბილურია დაცვა. 7-7 მატჩი ითამაშეს მეკარე ფიოლმა, მცველებმა ოლგუინმა, ლუის გალვანმა, პასარელამ და ტარანტინიმ. ნახევარდაცვაში და თავდასხმაში ითამაშეს ადილიესმა, გალეგომ, ვალენსიამ, ალონსომ, ხაუსმანმა, ბერტონმა, ლუკემ, ორტიზმა, ვილამ, ლაროსამ, ოვიედომ.

მაშ ასე, ფიფას თასი — ხუთკილოგრამიანი და 36 სანტიმეტრი სიმაღლის პრიზი პირველად გადაეცა არგენტინის ნაკრებს.

ახე ვთქვათ, „ცხელ ნაკვალევზე“, რით არის დასამახსოვრებელი არგენტინის ჩემპიონატი? თავდაპირველად თითოეულ სათამაშო ეპიზოდში წარმატებისაკენ გამარჯვებულთა განუზომელი სწრაფვით, ვერცხლის ეპიზოდრთა — ჰოლანდიელთა სტაბილურობით (ჰოლანდიელებმა ზედიზედ ორ მსოფლიო ჩემპიონატში მოიპოვეს ფინალში თამაშის უფლება), ბრაზილიელთა ტექნიკით (ისინი მატჩიდან მატჩამდე „აუმჯობესებდნენ თამაშს), იტალიელთა ძლიერებით (განსაკუთრებით ჩემპიონატის პირველ ნახევარში), ჩემპიონის შეცვლით, ავსტრიის, პერუსა და ტუნისის გუნდების სურპრიზებით...

„არგენტინელთა გამარჯვება და ბრაზილიელთა მესამე ადგილი მოწმობს, რომ სამხრეთამერიკული ფეხბურთი ამჟამად საუკეთესოა მსოფლიოში“. ეს სიტყვები ეკუთვნის პელეს. მენოტი შეფასებაში უფრო ფრთხილია: „ძნელია ასლა იმის თქმა, რომ ჩვენ ვართ საუკეთესონი მსოფლიოში. ჩვენი წარმატება და ბრაზილიელთა „ბრინჯაო“ ბევრის მაუწყებელია, მაგრამ ეს როდი ნიშნავს. თითქოს სამხრეთამერიკული ფეხბურთი ევროპულზე უკეთესი იყოს (ასლა ხომ შერწყმის პროცესი მიმდინარეობს). უბრალოდ, ეს მიუთითებს, რომ სამხრეთ ამერიკაშიც იციან, როგორ ითამაშონ თანამედროვე ფეხბურთი“.

შემდგომი ჩემპიონატი ესპანეთში გაიმართება 1982 წელს.

(საკდესის კორესპონდენტი).

ტელევიზია

27 ივნისი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 18.00 — უმაღლეს სანადოლებელში შემსვლელთათვის — ქართული ენა, 18.30 — შვვისწავლელთ ინგლისური ენა, 19.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: ცსკა — „დინამო“ (თბილისი) შესვლებიდან დროს — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 20.50 — „სოფლის სადღეისო საზრუნავი“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

18.00 — სტუდენტთათვის — თეორიული მექანიკა, 18.45 — კინონარკვევი, 18.55 — განცხადებები, 19.00 — „მასწავლებლის საათი“ — ალგებრა, 19.45 — ხელოვნების ისტორია კონცერტი, 20.40 — მხატვრული ფილმი „კონტრაბანდა“ (ფერადი).

რადიო

28 ივნისი

პირველი პროგრამით

06.15 — გადაცემათა პროგრამა, 06.20 — ტანვარჯიში, 06.35 — „ჩვენი მთა-ბარის პანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — ამინდის ბიუროს ცნობა, 07.31 — „დილის კონცერტი“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან) 08.32 — საოპერო შესიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართველ კომპოზიტორთა საბავშვო პიესები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.05 — ა. ალიბიევი. „საცეკვაო სუიტა“, 11.45 — „პარტიული ცხოვრება“. საუბარი „პარტიული კომიტეტი ისმენს კომუნისტის ოფიციალურ“, 12.15 — დ. თორაძე. ბალეტ „ბორბალს“ ნაწყვეტები, 12.30 — ი. კიბურას კონცერტი, 12.55 — გადაცემა [illegible] 13.00 — [illegible] „ადიციანები“ (მოსკოვიდან), 13.30 — გაზეთ „[illegible]“ [illegible] 13.[illegible] — [illegible] ბობა, 14.20 — დ. შოსტაკოვიჩი. კამერული ნაწარმოებები, 16.45 — „სოციალიზმის ქვეყნებში“ (მოსკოვიდან), 17.10 — გადაცემათა პროგრამა, 17.15 — ქართული ხალხური მუსიკა, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის. რადიოსადგური „ციცინათელა“, 18.10 — „მელოდია, რიტმი, განწყობილება“ (კონცერტი), 19.00 — „ჩვენი გადაცემების კვალდაკვალ“, 19.20 — მღერის მ. კრისტალინსკაია, 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაკო-ერევანი“ (ბაკიდან), 21.00 — „ძილისპიროული“, 21.15 — ახალგაზრდობისათვის. „შეხვედრები თქვენი ხმოვნით“, 21.30 — კონცერტი ლ. იაშვილის ნაწარმოებებიდან, 22.00 — სპეკტაკლების სცენები ა. ხორავას მონაწილეობით, 22.50 — „ხვალ — რადიოთი“, 23.30 — ი. სიბელიუსი. სიმფონიური პოემა „საგა“.

თეატრი

27 ივნისი

ფილიალვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — მთავრის მოტაცება; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ეპეკი; მცირე დარბაზი — ჩემო ალალამ; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ზარში მიდის დედისერთა; რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრი (გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში) — ღამის ამბავი (პრემიერა).

ინფორმაცია მოთხოვნით

ყოველწლიურად სულ უფრო სრულყოფილი ხდება სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის გავრცელების მეთოდები. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს საცნობარო-საინფორმაციო მომსახურება ე. წ. რეჟიმით „მოთხოვნა — პასუხი“. საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკური გამოკვლევათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი საცნობარო-საინფორმაციო მომსახურებას ამ რეჟიმით ახორციელებს ორგანიზაციების, საწარმოთა, ცალკეული სპეციალისტების, მეცნიერების, აგრეთვე წარმოების ნოვატორების ერთჯერადი შეკითხვების მიხედვით.

განაცხადების შესაბამისად ინსტიტუტი იძლევა თაქტოგრაფიულ ცნობებს ნაკეთობებზე, ორგანიზაციებს ან საწარმოებს მისამართებზე, რომლებიც განლაგებულია რესპუბლიკის ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ, აგრეთვე დოკუმენტურ ცნობებს — დანერგილ სიახლეებზე, მოწინავე საწარმოო გამოცდილებაზე, სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე, სამამულო და საზღვარგარეთის ქვეყნებში მიღწეულებზე. გარდა ამისა, ინფორმაციას მოგვაწვდის ინფორმაციის მოთხოვნელს შეუძლია მიიღოს ცნობები ჩატარებულ ან ჩასატარებელ დარგობრივ საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკურ სიმპოზიუმებზე, კონფერენციებზე, თათბირებზე, გაეცნოს სახლვარგარეთის მოვლინებების ანგარიშებს და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პასუხის გაცემის ხარისხი და ვადა დამოკიდებულია მომხმარებლის მოთხოვნის ხუსტ ფორმულირებაზე.

ინსტიტუტი მოთხოვნების მიხედვით გააცემს საკუთარ ფონდში არსებული დოკუმენტების პირებს. ინსტიტუტს შეუძლია აგრეთვე გასცეს ისეთი საინფორმაციო დოკუმენტების პირები, რომელთა არსებობა მომხმარებელმა იცის რაიმე საინფორმაციო წყაროს საშუალებით (მაგალითად, ბიბლიოგრაფიული საძიებლიდან). ამასთანავე მომხმარებელმა უნდა იცოდეს პირველწყაროს ბიბლიოგრაფიული მონაცემები.

მოთხოვნები ინფორმაციის მომხმარებლებისაგან და პასუხები მოთხოვნაზე მიიღება და გაიცემა როგორც წერილობით, ასევე ტელეტაიპით, ტელეგრაფით, ტელეფონით ან პირადად ინსტიტუტის საცნობარო-საინფორმაციო განყოფილებაში.

ინსტიტუტის მისამართი: 380030, ი. ჭავჭავაძის გამზირი, 33, ტელეტაიპი 77-142, საცნობარო-საინფორმაციო განყოფილების ტელეფონებია 22-16-01, 23-03-97.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

ტრაქტორისტებო, კომბაინერებო, მანქანების მძღოლებო, იუპაკით ფხიზლად!

თქვენზე, თქვენს ხიფხიზლეზეა დამოკიდებული მინდვრებში მოსავლიანი ადების დროს სახანძრო უსაფრთხოების დაცვა.

მკაცრად დაიცავით ხანძრის საწინააღმდეგო წესები მანქანების გამართვის დროს, არ დაარღვიოთ ბენზინობა და სხვა აალებადი ნივთიერებების შენახვის წესები!

ნუ გამოხვალთ მინდორში ცეცხლმქრობის გარეშე.

სახანძრო დაცვის სამმართველო.

ტექნიკური ძიება

მიწისძვრის პროგნოზი

შესაძლებელია თუ არა?

ტკის, სახალინის ზოგიერთ რაიონში.

საბჭოთა მეცნიერები დიდ მუშაობას ეწევიან სეისმურად სშირი ადგილების განსაზღვრისათვის. მაგალითად, ჩვენს ქვეყანას ტერიტორიაზე სეისმური დარაიონების ყველაზე სრულყოფილი რუკები აქვს მსოფლიოში. ასეთი რუკა შეადგინეს ქართველმა მეცნიერებმა რესპუბლიკის ტერიტორიისათვისაც, სადაც შესაძლებელია რვა-ცხრა ბალამდე სიძლიერის მიწისძვრები.

საქართველოში ამუშავებენ და წარმატებით იყენებენ სხვადასხვა სეისმომედეგ სამშენებლო კონსტრუქციას, აშენებენ საცხოვრებელ, სამოქალაქო, სამრეწველო და ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს, რომლებიც კარგად უძლებენ მიწისქვეშა სტიქიონს. დამანგრეველ ძალას: უკანასკნელი წლების მანძილზე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში და, კერძოდ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში დიდი ყურადღება ეთმობა მიწისძვრების წარმოშობის დროს წინასწარ განსაზღვრის სამსახურის შექმნას, ტერიტორიის სეისმური დარაიონების დეტალური რუკების შემდგომ გაუმჯობესებას. საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის მეცნიერთა გაერთიანებული მეცადინეობით სეისმური თვალსაზრისით ყველაზე საშიშ რაიონებში იქმნება სპეციალური პოლიგონები მიწისქვეშა სტიქიონის „ქცევის“ შესასწავლად, კავკასიის რთული გეოლოგიური აგებულების პირობებში მიწისძვრის პროგნოზის ხერხების დასადგენად.

საბჭოთა კავშირში უკვე აღმოჩენილია და ეკვლევენ მთელ რიგ ბუნებრივ მოვლენებს — მიწისძვრის თავისებურ მაუწყებლებს, მუშავდება თეორიული წარმოდგენა ამ მოვლენებზე, რომლებიც თია, მაგალითად, წყლის წყაროების რეჟიმის, ჭის წყლის დონის შეცვლა, წყლის ამღვრევა, მისი უჩვეულო გემო, სუნი, მოულოდნელი ბგერითი მოვლენები მიწის სიღრმეში — გუგუნი, ხახანი, სიხათლის ცვლილება ჰაერში და ა. შ. გარდა ამისა, ადამიანმა დიდი ხანია შეამჩნია, რომ სხვადასხვა ადგილას ძლიერი მიწისძვრის დროს როგორც შინაური, ისე გარეული ცხოველები უჩვეულოდ იქცევიან ხოლმე. მაგალითად, ძროხა, ცხენი, ცხვარი აღარ შედიან საგომებში, ეირთხები შენობებიდან ყარბიან, შეშინებული მტრედები განუწყვეტლივ დაფრენენ და საბუდარებში არ ბრუნდებიან, ბოცვრები ყურებს დაქექავენ, ხოლმე, დახტიან, მიწაში ჩამალული მოზამთრე გველები ტოვებენ თავიანთ სოროებს.

ტოკიო-შანის ზოოპარკის მუშაკებმა შეამჩნიეს, რომ მიწისძვრის დღეს, 1969 წლის 18 ივნისს მთელი მხეცები აწრიალდნენ, თეთრზები აკვარიუმის კედლებს აწყდებოდნენ, გედები გუბურებს ტოვებდნენ.

მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში ამ ბიოლოგიურ მაუწყებლებს უკვე იყენებენ ძლიერი მიწისძვრის დაწყების დროის წინასწარ განსაზღვრისათვის. ჩვენი აზრით, არც საბჭოთა სეისმოლოგიურმა ცენტრებმა უნდა უგულებელყონ ეს ჯერჯერობით „გაუგებარ“ და შეუსწავლელი ბიოლოგიური მაუწყებლები.

ასეთი მონაცემების შეგროვებასა და სისტემატიზაციაში მეცნიერთათვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ მთის რაიონების მცხოვრებთ, ბუნების მოყვარულთა წრეების წევრმოსწავლეებს, ექსპედიციათა მონაწილეებს. ამისათვის მათ თავიანთი დაკვირვების ჩანაწერები სასწრაფოდ უნდა გაუგზავნონ ხოლმე რესპუბლიკის სეისმოლოგიური ცენტრების მუშაკებს. ასეთი ინფორმაცია დიდად დაგვეხმარება მიწისძვრის პროგნოზის ურთულესი პრობლემის გადაჭრაში.

მ. ა. სადოვსკი.

აკადემიკოსი, ლენინის ორდენოსანი ო. ი. შმიდტის სახელობის დედამიწის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი

ბ. კ. ბალავაძე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი.

(საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომი და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 69 წლისა გარდაიცვალა თვალსაჩინო პარტიული მუშ